



# ილორი

www.ilori.ge



№113 (174) 5 – 12 აპრილი 2011

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო

30 თეთრი

## წინდა აღილვა უწინდურებს არაფერი ესაქმებათ!

ზვიად გამსახურდია 72 წლის ვერ გახდა, რადგან ავადსახსენებელმა ედუარდ შევარდნაძემ და მასზე გამომხულმა „პოლიტიკურმა კუდებმა“ ჯერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაამხეს ბანდიტთა იარაღის ძალით, შემდეგ თვით ზვიად გამსახურდია მოკლეს მიპარვით, ვერაგულად, ბანდიტურად. ახლა კი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ და მეთოდურად შლიან და ანადგურებენ საქართველოს ისტორიას, მის ტერიტორიებს, ეკონომიკას, რელიგიას, სულიერებას, ზნეობას, მორალს...

ამით სრულდება სომეხთა მრავალსაუკუნოვანი მზაკვრული ჩანაფიქრი! ზვიადის ქანდაკება ზუგდიდში 2001 წელს დაიდგა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას იდეით, ინიციატივითა და სახსრებით.

31 მარტი ყველა ქართველისათვის ცოცხალი თარიღია, ჩვენ ის მხოლოდ წარსულის კუთვნილებად არ უნდა ვაქციოთ!

ამიტომ, გულისწყრომა ვერ დაემაღეთ, როცა შევიტყვეთ, რომ 31 მარტს ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას ძეგლთან თავყრილობა მოაწყვეს „ქართული პარტიის“ მესვეურებმა.

საინტერესოა, როდის და მოეძალათ ზვიად გამსახურდიასადმი ესოდენ დიდი მოწიწება და სიყვარული გუშინ შევარდნაძის მხარის დამამშვენებელ საზოგადოებას, თანამდებობების დაკარგვის შემდეგ „ოპოზიციონერებად“ რომ მოინათლნენ, ჩვენთვის ყოველთვის გაუგებარი იქნება. ალბათ სააკაშვილისაგან გადაიდგეს ამგვარი პირფერულ-თავხედური პოლიტიკური „სპექტაკლების“ მოწყობის ხელოვნება, რომელიც ყოველივე ქართულს რომ ებრძვის, მაგრამ მაინც ყველაზე დიდი ქართველი და ვითა აღმაშენებელი რომ ჰყავს გადაქცეული „ვითომ იდეალად“! მაგრამ, არჩევნების ჩატარების თარიღი ახლოვდება და, ბოდიში მომიხდია, მაგრამ, ვისაც როგორ უნდა, ისე „ახურებს“!

აბა, ედუარდ შევარდნაძისაგან სხვა რა უნდა ესწავლათ პოლიტიკური

ქონგილორობის, პირფერობისა და მზაკვრული წიადსელებების შემოქმედებით ხალხის შეცდომაში შეყვანისა და დაბნევის გარდა!

“ჩვენი” ხელისუფლება რომ უბედურობის მომტანია ქართველი ერისათვის, ეს ფაქტია, მაგრამ ის ოპოზიცია, რომელიც დღეს ხელისუფლებისაკენ ისწრაფვის, უფრო დიდი უბედურობის მომტანი იქნება, არც ეს იწვევს ვინმეში ეჭვს!

როგორი “მასტის” ხალხს არ შეხვდებით დღევანდელ ფსევდოოპოზიციაში: დაწყებული „ფქვილის პრინციპით“ და დამთავრებული გუშინდელი სირაჯით, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შელევია ძველბიჭურ მენტალიტეტს და ნარკოტიკებს! სწორედ ისინი და მათი მეგობრები ემსახურებოდნენ ერთგული გოშიებივით ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც ყველა გზას უხსნიდა ხელმძღვრედ და სულმძღვრედ ადამიანებს მილიონების მოსახვეჭად, ზვიად გამსახურდიას სახელის განმაქიქებლებისათვის კი ნებისმიერ სარფიან ადგილს არ იშურებდა.

სწორედ მაშინ იშოვნეს მათ მილიონები, რომლებიც ეროვნული მოძრაობის ჩაკვლას, ჯერ “მოქცავშირის”, შემდეგ კი “ნაციონალური მოძრაობის” აღორძინებას მოხმარდა.

სწორედ ხელისუფლებასთან ბინძური გარიგების გამოისობით გაუშვეს “ოპოზიციონერებმა” სახლში ქალაქის ქუჩებში საპროტესტოდ გამოსული ასიათასობით ადამიანი. ამის შემდეგ, მათ ნამუსი ჰყოფნით, რომ საჯაროდ გამოვიდნენ და ხალხის სახელით ელაპარაკონ საზოგადოებას!

ახლა კი, ეს ფულშემოხარჯული ოპოზიციონერები, ახალი საშოვრის ძებნით გამგელებლები, მუშტებით ცხვირპირს უმტვრევენ და დედას აგინებენ ერთმანეთს!

ზოგიერთ გულუბრყვილოს კი კვლავ მათი იმედი აქვს!

დღევანდელი ფსევდოოპოზიცია ესაა სპეციალურ სინჯარაში გამოყვანილი პოლიტიკური ძალა, რომელსაც არავითარი პოლიტიკური კრედი არ

გააჩნია და მხოლოდ ფულზე ევაჭრება “ნაციონალების” ხელისუფლებას. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ “გეოგრაფიკულმა” მხედველობაში არ მიიღეს ის გარემოება, რომ ეშმაკ და ხრიკებისმოყვარულ სომხეთთან ვაჭრობა საფრთხილო საქმეა. განა ამ გაიძვერობის შედეგი არ გახლდათ ის, რომ გაჩეჩილაძე რამდენიმე მილიონი ლარით “დააგომია” სააკაშვილმა?!

ახლა კი ეს მოტყუებული ხალხი თავად ცდილობს ქართველი ხალხის “დაგომებას” და იციან რა, სამეგრელოს სკეპტიკური დამოკიდებულება არსებული ხელისუფლებისადმი, სწორედ სამეგრელოში ჩადიან იაფფასიანი პოლიტიკური ავტორიტეტის მოსახვეჭად.


ოპოზიციად მხოლოდ იმიტომ იწოდებიან, რომ ჭეშმარიტი ოპოზიციური ძალა, რომელსაც ხალხში სამართლიანი ავტორიტეტი გააჩნია, ქვეყნიდან გადახვეწილია, რადგან ყაჩაღური ხელისუფლების პირობებში ისინი დაზღვეული არ არიან საშიში პროვოკაციებისაგან. მაგრამ, მალე ველაფერი თავის ადგილზე დადგება!

და ამის შემდეგ, ოპოზიციად წოდებული ეს მორალურად და ზნეობრივად ეროზირებული მასა ზვიად გამსახურდიას ძეგლთან მიდის და იქიდან ელაპარაკება ქართველ ხალხს, თითქოს მათ ხელზე არ ეცხობ ზვიადის სისხლის წვეთები!

მათ ხომ მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური ჟინი და მიზანი ამოძრავებთ! არავის ახსენდება, რომ თბილისში არსებობს ბუშის, კაჩინისკისა და ალიევის სახელობის ქუჩები, ზვიად გამსახურდიას სახელს საქართველოში არცერთი ობიექტი არ ატარებს და იგი მხოლოდ თბილისში მტკვრის სანაპიროს ერთ-ერთ „მკედარ“ მონაკვეთს აქვს მიკუთვნიებული!

მეტეც გვეკუთვნის, თუ ხელისუფლებას ამ წმინდა ადამიანისადმი უპატივცემულობას ვაპატიებთ!

სამეგრელო ერთხელ უკვე სასტიკად მოტყუვდა, როცა მხარი დაუჭირა ნაციონალების მოსვლას საქართველოს



ხელისუფლებაში და კატეგორიულად გამორიცხულია, რომ იგი კიდევ ერთი დიდი პოლიტიკური სიცრუის მსხვერპლად იქცეს! გახეთ „ილორის“ რედაქცია კი კატეგორიულად აცხადებს, რომ ზუგდიდის ის წმინდა ადგილი, სადაც სულმნათი ზვიადის ძეგლი დგას, არ უნდა იქცეს უწმინდურთა თავშეყრის ადგილად! გახეთ „ილორის“ რედაქცია

## 2010 წლის 31 მარტს საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი სულმნათი ზვიად გამსახურდია 72 წლის გახდა

**სარგანი კრავლიოვი ბერიკა – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი**  
4 თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი  
ბურთი ოტობაია  
**“ჰეროტაქსი”**

**“მეგრული ენის ლექსიკა და სიზყვათნარმოვანობა” 3**  
**მეფა-პრეზიდენტი**  
8 თემურ ქორიკე,

**როგორ გასხვიდა აფხაზეთი**  
8 ნაპო მესხია

**სააკაშვილი: ზოგიერთი პოლიტიკოსი უცხო ქვეყნის ჯარების შემოსვლაზე ამყარებს იმედს (შიზს მართლაც დიდი თვალება აქვს)**



2010 წლის 31 მარტს საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი სულენათი ზვიად გამსახურდია 72 წლის გახდა

ვერ გახდა, რადგან ავადსახსენებელმა ელზარდ შვეარდნაძემ და მასზე გამოხატულმა "პოლიტიკურმა კულებმა" ვერ საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დაამხეს ბანდიტთა იარაღის ძალით, შემდეგ თვით ზვიად გამსახურდია მოკლეს მიპარებით, ვერაგულად, ბანდიტურად. ახლა კი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ და მეთოდურად შლიან და ანადგურებენ საქართველოს ისტორიას, მის ტერიტორიებს, ეკონომიკას, რელიგიას, სულიერებას, ზნეობას, მორალს...

და მით სრულდება სომეხთა მრავალსაუკუნოვანი მზაკვერული ჩანაფიქრი!

ისტორიისათვის არსებითად მნიშვნელოვანია ის, რომ 1991-1992 წლების დეკემბერიდან მოყოლებული წინ უსწრებდა ეპოქალური მნიშვნელობის პოლიტიკური ძვრები საქართველოს ცხოვრებაში. ქვეყანაში მიმდინარეობდა ეროვნულმა მოძრაობამ 1988-1990 წლებში გამოვლილი. საბჭოთაების საზოგადოებრივ-პოლიტიკური "გარდაქმნის" კურსმა დაანქარა "წმინდა იდეის" სახით არსებული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურება, რამაც თავის მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლაში...

ყოველგვარი სისხლისღვრისა და დავიდარბის გარეშე საქართველო თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა!

...1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. არსებობა შეწყვიტა კომუნისტურმა მმართველობამ, რომელიც ქვეყანაში 1921 წლიდან დომინირებდა. ისმება კითხვა: რამ განაპირობა ხელისუფლების შეცვლა და ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა? ვინ იყვნენ ისინი? რამდენად გამოხატავდნენ საქართველოს მოსახლეობის ნებას?...

...სადავო არ არის, რომ 80-იანი წლების მიწურულს ასპარეზზე გამოვიდნენ სრულიად ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნას მოითხოვდნენ, მაგრამ მათი მიღწევის გზები სხვადასხვა იყო.

ამ ხანებში იკვეთებოდა სხვადასხვა სოციალურ ფენათა ცხოვრებისეული ინტერესებიც. ორთოდოქს კომუნისტთა დაბნეულობამ, ლიბერალური მოძრაობის არამდგრადობამ და წვრილბურჟუაზიული ჯგუფების ერთგვარმა ნეიტრალიტეტმა ხალხის ცნობიერებაში ამოატივტივა ეროვნული ძალების მოსვლის აუცილებლობა, რამაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეროვნულ მოძრაობას - "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" - 1990 წლის არჩევნებში გამარჯვება მოუტანა...

...სახელწოდება "მრგვალი მაგიდა" ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ იყო შერჩეული და ერთიანობას, თანამოაზრეობასა და თანასწორობას გულისხმობდა...

შემდეგ... მიმდინარეობდა ცალკეული განაწევნებულის პირის, სამხედრო და ჯგუფების, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის გადაბირება და გარიგების პროცესი... მესამე ძალამ შესძლო ეროვნული ხელისუფლების ცალკეული პოლიტიკური ლიდერების გადაბირება... მესამე ძალის მიერ საკმაოდ დრამად იყო გათვლილი განხეთქილების შეტანა "მრგვალი მაგიდის" წიაღში, რომელმაც დენთის როლი შეასრულა ეროვნული ძალების ხელისუფლების დამხობაში.

დღეისათვის საზოგადოებრივ აზრში მტკიცდება მოსაზრება, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობის უშუალო შემსრულებლებს ბოლომდე არ ჰქონდათ გააზრებული, ვისი ნების განმხორციელებლები იყვნენ. ისინი ბრმა იარაღად გამოიყენა მესამე ძალამ და ეს იმიტაც დასტურდება, რომ უშუალოდ დამამხობელების ნაწილი ცოცხალი არ არის. ზოგი ციხის საკანში მოხვდა, ან იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა...

...ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ძალიან სტრუქტურულად მოღვაწე ბევრ პიროვნებას სამშობლოსა და ხელისუფლებისათვის არ უღალატნია და კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არ ჩაუ-

დენია, მთავრობის საწინააღმდეგოდ იარაღი არ მიუმართავს. თუმცა, საფუძველს მოკლებული არ არის აზრი იმის შესახებ, რომ ქართულ ძალოვან სამსახურებში იყვნენ მოღალატე სულისკვეთების მქონე ადამიანები, რომლებიც წამოვიდნენ ოპოზიციის ანკესს და პირადი კეთილდღეობის თუ სხვა გარონების მიზნით მონაწილეობა მიიღეს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში...

...საქართველოში კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის შემდეგ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აპოლიტიკური გახდა. მან ხელისუფლებისგან მხოლოდ სოციალური და, უმეტესად, საყოფაცხოვრებო პირველადი მოთხოვნები დაკმაყოფილება მოითხოვა. თუმცა იგი ვერ მიიღო, ამიტომ ისევ პოლიტიკას მიუბრუნდა და სახალხო რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს იქცა. ამიტომაც, მათი ლოგიკური კრიზისი მალე დაიწყო. ქართველ ხალხთან იარაღის ერთ საუბარი შეუძლებელი იყო.

ტალღირანისა არ იყოს: "ზისტები ძალიან კარგია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ძალიან ცუდია დასაჯლად"...

...ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ ე.წ. გამარჯვებულმა დემოკრატიულმა კოალიციამ ვერ შეძლო ქვეყანაში მკაცრი კონტროლის დამყარება. ეს კი განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: პირველი - ეროვნულ ხელისუფლებას და დამხობილ პრეზიდენტს მხარს უჭერდა მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც შეიქმნა კიდევაც საკმაოდ კარგად შეიარაღებული სამხედრო ბაზა. მეორე - კანონიერი ხელისუფლების განდევნას მოჰყვა რეგიონებში სეპარატისტული ძალების გააქტიურება, ახალი ხელისუფლების მიერ წინასწარ განსაზღვრული ქმედებების შედეგებმა კი მიგვიყვანა ქართულ-აფხაზურ ომამდე, მესამე - გადატრიალების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ ვერ გამოიხატა საერთო ენა კანონიერი ხელისუფლების მომხრეებთან. ძალადობრივი საშუალებები დაუპირისპირა მას. სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე აიყვანა ბრძოლა ე.წ. "პროვინციულ ფაშისთან" და სპეციალურად დაგეგმა სასტიკი ე.წ. სადამსჯელო აქციების ჩატარება საქართველოში. მეოთხე - დეკემბერი-იანვრის გადატრიალების შემსრულებლები (მხედრიონი, გვარდია და სხვა) ზვიად გამსახურდიას დამხობის საფასურად ითხოვდნენ ეკონომიკურად გარანტირებულ ცხოვრებას. მკვიდრდებოდა სახელისუფლებო რეკეტი, წესდებოდა წარმოებულ-ორგანიზაციებში დირექტორის მოადგილის სპეციალური თანამდებობა მხედრიონის ან გვარდიის წარმომადგენლისათვის. მესხეთე - კანონიერი ხელისუფლების დამამხობელი ძალები ცდილობდნენ ჰქონოდათ მტკიცე პოლიტიკური დასაყრდენი ხელისუფლებაში და ამ მიზნით ქმნიდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანება იწყებდნენ ინტელიგენციის წარმოდგენილებიც... ასე იწყებოდა საქართველოს რღვევა...

...საქართველომ უდიდესი პატივი მიაგო თავის ერთგულ შვილს და დიდ ერისკაცს, საქართველოს ზეარაკად შეწირულ მოღვაწეს, მის პირველ კანინერად არჩეულ პრეზიდენტს. ზვიად გამსახურდიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი პიროვნულ-ეროვნული სიდიადე და კიდევ ერთხელ მოუწოდა ერს სულიერი ერთიანობისა და თანხმობის, სიყვარულისა და რწმენისაკენ. დრო ივიწყებს ზვიად გამსახურდიას ადამიანურ წიგნსტეებს და წვრილმანებს. მომავალი თაობების მესხიერებაში იგი დარჩება ხალხში გადასროლილი იდეებით, დაწერილი წიგნებით, მოგებული თუ წაგებული საქმეებით და თავგანწირვის მაგალითით. ის ჭეშმარიტი ჭყონდიდე-ცოტნეი-დელია, "ადმსარებელი მცნებათა უფლისა და დამდებელი სულისა საქართველოსა და მოყვასისათვის".

ამინ!

ილორ კვანთაძე, პროფესორი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

გაზეთ "ილორის" კომენტარი - მოდით, გაიხსენოთ: ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის ჟამს აფხაზეთში სერიოზული მოთხოვნები იყო წამოწეული ამ კუთხის საქართველოდან გამოყოფის თაობაზე. მაგრამ, როგორც კი საქართველოში ობიექტური არჩევნები ჩატარდა და ხელისუფლების სათავეში დიდი კონსტანტინეს პირში, ასევე უდიდესი პიროვნება ზვიად გამსახურდია მოვიდა, აფხაზეთში მაშინვე მიწვეა ანტიქართული საპროტესტო გამოსვლები. ეს ლოგიკურიც იყო - არ შეიძლებოდა იმ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში, რომელიც ლამის აღმერთებდა აფხაზურ სულსა და მორალს, გაზრდილიყო პიროვნება, რომელიც სათანადოდ არ დააფასებდა ამ ჭეშმარიტად მებრძოლი სულისკვეთების მქონე და დღითიურ სიმართლესთან წინაყარი ხალხის გულისტქმას.

სწორედ ამან შეაშფოთა ქართველი ხალხისა და ყოველივე ლამაზის სტანდარტად მოძულე ელზარდ შვეარდნაძე და სხვა იმპერიული ანტიადამიანური ძალები და მათ იმ სამაჩაბლოში შესძლეს საპროტესტო ტალღის აგორება, რომელთათვისაც ნათესაურად და მენტალურად ისე მახლობელი არ გახლავთ ქართველი ადამიანი, როგორც აფხაზისათვის.

დაიწყო ცხინვალის ავადსახსენებელი ომი, რამაც, ბუნებრივია, გარკვეული დისონანსი შეიტანა სრულიად საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საქმიანობაში, რადგან მათ არ გაანდათ არც ომში და არც მშვიდობის ჟამს ხელისუფლების გაძლიერების დიდი გამოცდილება. ნაცვლად იმისა, რომ დახმარების ხელი შეეგვეტებინა საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისათვის, ქვეყნის და ტყვეთა დაუშინებლად მათ და, სამწუხაროდ, არ დაფიქრებულვართ იმაზე, რომ თურმე მაშინ საკუთარ თავს ვესროდით...

გვიან შევიგნეთ! ერთხელ, როცა 80-იანი წლების დასასრულს აფხაზეთის უმშვენიერეს კურორტ ბიჭვინთაში მწერალთა და დრამატურგთა სემინარზე ვიყავი მიწვეული, აფხაზმა კოლეგა-მეგობრებმა მოგაკითხეს და რესტორან "გაგრიფში" შესანიშნავი სუფრა გაგვიშალეს. სამწუხაროდ, გარკვეულ გარე და შიდა ძალობა გაგულენით, მაშინ უკვე იძაბებოდა სიტუაცია ქართველებსა და აფხაზებს შორის. ვკეიფობდით, მაგრამ ვგრძობდით, რომ ეს ქეიფს კი არა, ერთმანეთთან დამშვიდობებას უფრო შვავდა.

სუფრის დასასრულს, როცა დვინომ დაგვრია ხელი და უფრო გულახდილები გახდით, ჩემსკენ გადმოიხარა შესანიშნავი აფხაზი პოეტი ალექსი გოგუა და ჩამწურწულა:

- არ ვიცი, სად მიგვიყვანს ყოველივე ეს, მაგრამ კარგად ვიცი, რომ საქართველოს გარეშე აფხაზები დავიდუკებოთ...

დავებნი, იმდენად გამოვანებელი იყო ჩემთვის ამ ადამიანის განცხადება, რომლის ყველა საჯარო გამოსვლაში ჟღერდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის აუცილებლობა. არ ვიცოდი, მერწმუნა მისი გულწრფელობისა, თუ დვინისათვის დამებრალდათ ყოველივე. თურმე უნდა მეპასუხას:

- აფხაზეთის გარეშე საქართველოც დაიდუკება!

არ ვუპასუხე და ცუდადაც აგვიხდა ყველაფერი. შევარდნადის მიერ დაგეშილ-დაფინანსებული ბანდიტები ცეცხლითა და მახვილით შევარდნენ აფხაზეთში და იქიდან, ნამარცხ-ნაოსხრად ღუსტრებას და სხვა ქონებასთან ერთად ათეულ-ათასობით ცხედარი და სამასი ათასამდე ლტოლვილი "გამოაყოფეს" ხელს. იქაც ბევრი აფხაზი მოხუცი, ქალისა და ვაჟკაცის ცხედარი დატოვეს (საუკუნო სხენება მათ სულსებს)...

აფხაზეთის ომი სამარცხვინოდ დაიწყო და სამარცხვინოდ დამთავრდა, მაგრამ არა შევარდნაძისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის, რომელთაც საკმაოდ მოითბეს ხელი ამ კამპანიაზე, არამედ საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის!



აფხაზეთის ომი სამარცხვინოდ გრძელდება, მაგრამ არა სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის, რომლებიც სარფიანად ითბობენ ხელს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთა ჰუმანიტარულ დახმარებებზე, არამედ მთელი ქართველი ხალხისათვის!

ლტოლვილებს დღეცა ვერ უპოვიათ საკუთარი ადგილი საქართველოში და სასოებით გაცქერიან ენგურის მუორე ნაპირს. იქ დარჩა მათი ოდაბადე, ახლობელთა საფლავები, ტყვედავლილი ეზოები და ნაღვლიანად მოშირალი ნასახლარები!

გაიკეთ ხალხნო! საქართველოს მტრებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ საქართველოსა და აფხაზეთს ერთად ვერ დააჩქებდნენ და ამიტომაც მოსწვიტეს საქართველოს ეს ძირძველი მხარე და უსულგულო, ჯიშ და სქესგამოცლილი მანქურთებისა და ვიგინდარების საჯიროთოდ აქციეს დიდი ისტორიული წარსულის მქონე წვენი ქვეყანა!

დააკვირდით, აფხაზეთის გარეშე საქართველო უკვე ლამის სულს დაფავს ამ საერთაშორისო თაღლითების, ინტრიგანებისა და ფულს დახარბებული მანქურთებისა და ვითომ გაქართველებული სომხების ხელში, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული გამომდილიანების გზას ვეროპასა და ამერიკაში ეძებენ!

აფხაზეთმაც კარგად იცინა, რომ მათაც საკმაოდ დიდი საფრთხე ელით...

ყველა ქართველმა და აფხაზმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოს გამთლიანების ამერიკასა და ევროპაზე გამავალი გზა მხოლოდ ერევანში თუ ჩავიყვანს!

აფხაზეთში მიმავალი გზა კი მხოლოდ რუსეთსა და სამეგრელოზე გადის!

როლანდ ჯალაღანია

ციტატა-შეხსენება

"დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდემა გააკეთა. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს, მათ შორის თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიაშვილი გააკეთა. დამისახელოს ვინმემ პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი გაერთიანებისათვის, ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის, ქართული სულის ამადლებებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ეს ზვიად გამსახურდიამ გააკეთა..."  
ალექსანდრე ჰაჭია, 2001 წლის 12 ოქტომბერი



# მამანტი ძაძაძიას, სირა ძაძაძიას და ვლადიმერ ვახანიას შვიდგომილი – “გერული ენის ლექსიკა და სიზვერთნარმოვანობა“

(სტენოგრაფია)

გვანწი მანია – ჟურნალისტი, აკადემიკოსი:

ბატონებო! გიცხადებთ ასეთ ჭეშმარიტებას: საქართველოში გამოცემული ბიბლიური ლექსიკონის მიხედვით, მსოფლიოში აღრიცხულია 5445 ენა. ეს ლექსიკონი სულ ერთი ათეული წელია გამოვიდა. ამ ენათა შორის ერთ-ერთისთვის გამორჩეული საქმე გააკეთეს ბატონმა მამანტი ძაძაძიმ, ქალბატონმა სირა ძაძაძიმ და ბატონმა ვლადიმერ ვახანიამ. ათი წელია მე მაქვს საქმიანი თანამშრომლობა ბატონ მამანტისთან, რომ მისი ეს მიღწევა, ეს ტიტანური შრომა გახდეს მსოფლიოში ცნობილი ისეთი წიგნისათვის, როგორც არის გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნი, რამეთუ ეს შრომა ამას იმსახურებს. 1999 წელს, როდესაც ჩვენი თანამშრომლობა დაიწყო, ჩვენ არ გვეკონდა ეს ტომეულები, ხოლო ზეპირად რომ ამდენი მილიონი სიტყვაა, ვერავინ დაგვიჯერებდა. ეს ახლა დაგვირგვინდა ამ შეიძლებული. ბატონებო! გინესის წიგნი გამოდის 100 ქვეყანაში, 23 ენაზე. ეს იქნება უდიდესი რეკორდი ამ ნაშრომისთვის, რომელიც ძაძაძიების ჯგუფმა შექმნა. ჩვენ გან, ბატონო მამანტი, წინააღმდეგობა არაფერი არ არის, მხოლოდ თქვენ გვეტყვიან თქვენს კოდს, ელექტრულ ფოსტას და პატარა ტექსტს, რომელიც იქნება სულ ერთი აბზაცი. ტექსტის პროექტს ჩვენ შემოგთავაზებთ და თქვენ გექნებათ საიდუმლო მიმოწერა გინესთან. მე შევეცდები, იმ გამოცდილებით, რაც დღემდე მივიღე, ეს საქმე განვახორციელო. დარწმუნებული ვარ, გამარჯვება იქნება.

სიმონ ზაძარაია – მწერალი, ჟურნალისტი, აკადემიკოსი:

ქალბატონებო და ბატონებო! დღეს მოწმე ვართ იმ უდიდესი, უნიჭიერესი ნაშრომისა, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში გამოიარა ერთ-ერთ ქართულ ოჯახში, ბატონი მამანტი ძაძაძიას ოჯახში. განსახილველი შეიძლებულია, მე, როგორც მეცნიერმა, შეიძლება ასე შევაფასო: ეს შრომა დატვირთავდა რომელიც გნებავთ სამეცნიერო ინსტიტუტს, მთელი თავისი განყოფილებებით ათეული წლების მანძილზე რომ ემუშავა. ეს არის მართლაც ზე-ტიტანური შრომა, თავისი უდიდესი და უნიკალური შედეგებით. მე ბატონ მამანტის შრომებს ჯერ კიდევ 1991 წელს გამოცემული მისი ორტომიანი დასრულებული ვიცი და ვკითხულობ. განსაკუთრებულია მისი და მისი ქალიშვილების ნაშრომები, განსაკუთრებით, ეს შვიდ-ტომიანი. იგი მართლაც, მართლაც საოცრებაა. მოგესხებოდათ მე მეგრული ვიცი და ვხედავ, რა კარგია როცა სრულად გესმის რა წერია მათში, წვდები მის შინაარსში. მე ამით ბედნიერად ვთვლი ჩემს თავსაც. დიდაც მისასალმებელია ეს ნაშრომი. ამიტომ ვულოცავ მის ავტორებს ბატონ მამანტის მეთაურობით, რომ ასეთი უნიკალური და ფას-დაუდებელი ნაშრომი გამოსცეს. ბატონო მამანტი, გახსოვთ ალბათ, რომ ჩვენ ერთად ჩავიციხეთ ინსტიტუტში და ერთად დავამთავრეთ, ერთი ხნისა ვართ და ამიტომაც ორმაგად მიხარია

თქვენი გამარჯვება და ის მეტად მაღალი შეფასებები თქვენი ნაშრომისა, რაც დღეს აქ გამოითქვა და რაც აქამდე გაზეთებშიც დაიწერა. გილოცავთ ამ დიდ წარმატებას, გილოცავთ დაბადების დღეს, კარგად ბრძანდებოდეთ.

სობრატ სალშვილი – ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი:

ძვირფასო მეგობრებო, ბატონო მამანტი, თქვენი დაბადების დღეა და გილოცავთ, მაგრამ დღეს თქვენ 7 ვაჟიშვილი შეგეძინათ, თითო ტომი თქვენი ვაჟიშვილია, დიდი ვაჟკაცი კაცი ხართ, მე ვერ წარმოვიდგენია, როგორ შესძელით ასეთი რამ. ეს ხომ რჩეულია ხვედრია. ვინც რაც უნდა თქვას, თქვენი ტომეულები ამიერიდან ზეცაში იფრენენ. ისინი საქართველოსთან ერთად იცოცხლებს. გილოცავთ წიგნის პრეზენტაციის ასე მაღალ დონეზე ჩატარებას.

ამასთან ერთად, ბატონ ვაჟა ვერისელს ვულოცავ დიდი ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატობას.

და ბოლოს, ძვირფასო მეგობრებო! აი მე ხელთ მიპყრია ვეროპაში გამოცემული ჟურნალი, რომლის ყდაში ვეროპამ ფართოდ გაგვიღო კარები და აღიარა კოლხეთის ტრადიციული მედიცინა. საქმე არის მისული წიგნები, რომ კოლხი მედიცინა გრაფიკული შედეგები, რომელიც ლევან სანიკიძის დოკუმენტური პროზის მიხედვით შექმნა ელგუჯა ბერძენიშვილმა და რომელსაც ჩემი თხოვნით ემირ ბურჯანაძემ ლათინურენოვანი წარწერა გაუკეთა: „მედია კოლხიკა მედიკალე მედიცინა“ ანუ „მედია და მედიცინა“. ეტიმოლოგიური კავშირი სახეზეა. ეს ყველაფერი ინგლისურ და გერმანულ ენაზე გამოიცა. საქმე არის მისული წიგნები და მოდი ნუ გაუფრტოვებთ მოვლენებს, ვედირსებთ, რომ კოლხი მედიცინა პორტრეტი აღიარებული იქნება მსოფლიოს ტრადიციული მედიცინის ემბლემად. ფონოლოგიური უპირატესობა ჩვენს მხარეს არის და გავიმარჯვებთ. ვაჟა ვერისელი იხრახახეს, გაზეთ „დოსსკურას“ უახლოეს ნომერში წარმოადგინოს მედიცინის ისტორიის ისეთი დიდი სპეციალისტი და დიდი კლინიცისტი, როგორც გახლავთ ბადურ რაჭველიშვილი. მან დაწერა ხუთ-გვერდიანი რეცენზია ამ საკითხთან დაკავშირებით და ეს ფრიად საოცარი შედეგები ვაჟა ვერისელის ინიციატივით პირველ გვერდზე დაიბეჭდება. ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრების ხელმოწერებიც არის საჭირო. პრივილეგია ჩვენს მხარეზეა, სიმართლე ჩვენს მხარეზეა, ექსპერტებს ვთხოვთ ობიექტური დასკვნა დაწერონ. გავიმარჯვებთ! გავიმარჯვებთ!

ზურაბ მინდელი – პროფესორი, აკადემიკოსი:

მინდა, ბატონო მამანტი, მოგილოცოთ დაბადების დღე. ეს ერთი 68 წელი და მეორე იმდენიც მოგველოცოს. აი რომ შეხვალთ რომში წმ. პეტრეს ტაძარში, დარწმუნდებით, რომ თვით მიქელანჯელოს თავშიცაა ვერ ჩაეტყობდა თქვენი ტომეულები; მგონია დღემდე დაგეხმარათ. დიახ, მგონია ბატონ მამანტის, ქალბატონ სირას და ბატონ ვლადიმერს დღემდე დაეხმარა ამ გოლიათური ნაშ-

რომის შექმნაში. სახელი და დიდება თქვენ ბატონებო.

მამა ანტონიო ბიორგო-ინანი – ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი:

მოგესალმებით და მოგილოცავთ. ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი გამოკვლევები არა მარტო ეროვნული, საერთო თვალსაზრისით, არამედ სასულიერო თვალსაზრისითაც. მე როცა გადავხედე თქვენს ლექსიკონს, ძალიან ბევრი საყურადღებო ტერმინი აღმოვაჩინე. ჩვენთან ესხლა დაშორებულია ძალიან ბევრი ტერმინი საღვთისმეტყველო ბერძნული და სხვა სტილის და ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ თქვენ ფუთოთ გაქვთ მოხსენებულო, ანუ ბიბლია. ბიბლია ეს ბერძნული ტერმინია. გამიხარდა თქვენს წიგნში რომ ვნახე და სხვა ბევრი შემოიღია კიდევ დაფასახელი. ასე, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ კარგი საქმის დაგვირგვინება. და მე გისურვებთ კვლავაც ახალ-ახალ წარმატებებს. ასევე ბატონ ვაჟას ვულოცავ დიდი პრემიის მიღებას და ვუსურვებ წარმატებებს მომავალშიც.

ვაჟა მბრძენელი – პოეტი, აკადემიკოსი:

დიდი მადლობა ძვირფასო მეგობრებო! დღეს არის ზეიმი მწერლობის, მეცნიერების, კულტურის და კაცობის. მინდა მადლობა გითხრათ მომადინებლისათვის. ბატონ მამანტი ძაძაძიას, მის ქალიშვილ ცირა ძაძაძიას და ვლადიმერ ვახანიას უდიდესი მადლობა მოვახსენებ იმ დიდი შრომისათვის, იმ დიდი გარჯისათვის, რასაც ქვია ეს შეიძლებული. ასევე მინდა მადლობა მოვახსენო მის გამოცემულ ბატონ ზაურ ნაჭყებიას, გაწეული დიდი შრომისათვის. დიდი მადლობა ყველას.

„აიტიეს ზღაპრულ კოლხეთს მტრობისა და სიძულვილის, გველეშაპი მისდგომია; მათ იციან, იქ იწყება საქართველოს ისტორია“.

ვახუტა „ილირი“ რედაქციის-აგან: ხაზი უნდა გაუფსვთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას:

პირველი, ვინც ხელისუფლების მიერ შევიწროვებული მამანტი ძაძაძიას დასაცავდა ხმა ამოიღო, გახლდათ ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ბატონი ალექსანდრე ზაძია, რომელიც მაშინ თავად განიცდიდა დიდ დაწოლას შევარდნაძის ხელისუფლებისაგან. როგორც ამბობენ, მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმ წერილის ნაწყვეტს გაუკეთებთ ციტირებას, სადაც ბატონმა ალექსანდრე ზაძიამ პასუხი გასცა მეგრულ ენაზე გალაშქრებულ ცნობილ მეცნიერს ბატონ ვახტანგ ბოჭორიშვილს:

„მე, რა თქმა უნდა, ყოველთვის ვიცოდი, რომ პოლიტიკა, რბილად რომ ვთქვათ, არ არის ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილის საქმე, მაგრამ, ამასთანავე, იგი პატიოსან და განათლებულ კაცად მიმაჩნდა. მით უფრო გამოაცხადა მაშინდელმა მისმა სატელევიზიო გამოსვლამ. წინა დღეს კაცი დიდი აღტაცებით მიესალმა მოძრაობა „სამეგრელოს“ ყრილობის მონაწილეებს, სრული მხარდაჭერა აღუთქვა მათ ინიციატივას, მხოლოდ სინანული

გამოთქვა იმის გამო, რომ შეიქმნა საზოგადოებრივი და არა პოლიტიკური ორგანიზაცია, ხოლო მეორე დღეს ტელევიზიით ყველა ცოდვა ჩვენ დაგვაბრალა, მათ შორის, რატომღაც, ფაზისშიც. ასაკოვანი კაცის ამგვარი ორპირობა ძალიან არასასიამოვნოა... აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი ბოჭორიშვილის განსაკუთრებული აღშფოთება და დაცინვა გამოიწვიო ყრილობის ერთ-ერთი მონაწილის, დამსახურებული ადამიანის, ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტის, ბატონი მამანტი ძაძაძიას გამოსვლამ. ამ კაცმა ათეული წლები მიუძღვნა მეგრული, ლაზურ-ჭანური ლექსიკონსა და მისი ფესვების შესწავლას, ამ თემაზე რამდენიმე მონოგრაფიაც გამოაქვეყნა და ყრილობაზე ეკონსულტაციას თქვა, რომ ამ ენის მარაგი 7 მილიონ სიტყვას მოიცავს. ტელევიზიით ვახტანგ ბოჭორიშვილმა აგდებულად, ირონიული ჩაცინებით, ნიშნისმოგებით განაცხადა, რომ ეს სეუძლებელია და ამის დასტურად „დამაჯერებელი“ არგუმენტები მოიყვანა: ენაში ამდენი სიტყვა არ შეიძლება იყოს, ვინაიდან მაშინ ამ ენაზე დააპირაკი შეუძლებელი იქნებოდაო. ინგლისური ენის ლექსიკონიც კი, რომელიც ბატონმა ვახტანგმა, რატომღაც, მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ენად მონათლა, მხოლოდ 160 ათას სიტყვას მოიცავს. ნათქვამის ტონსა და არსს მიაქციეთ ყურადღება: ცივილიზებულ ინგლისელებს ამდენი აქვთ და ველურ ქართველებს როგორ შეიძლება მეტი აქონდეთო! გვერთხებოდათ, „ახალგაზრდა რეფორმატორი“ გამოდიოდა... ამას კულტურული კაცისგან ნამდვილად არ ველოდი! ნებისმიერმა სტუდენტმა იცის, რომ საშუალო ადამიანი, მაგალითად, იგივე ბოჭორიშვილი, თავის ცხოვრებაში 4-5 ათას სიტყვას ხმარობს, რაც, ზუსტბრებივია, არ განსაზღვრავს ენის ლექსიკურ მარაგს. მეტიც, იმ ლექსიკონითაც, რომელიც ბოჭორიშვილს თაროზე უდევს, არ შემოიფარგლება ინგლისური ენის საერთო სიტყვიერი მარაგი, რომელსაც, ცნობისათვის, 490.000 სიტყვა შეადგენს. ბატონი ვახტანგის საყურადღებოდ, ინგლისური ენა მდიდარ ენად ქართულ „ელიტურ“ ინტელიგენციაში თუ ითვლება, ვინაიდან ეს შედარებით ახალგაზრდა ენაა, რომლის ჩამოყალიბება მხოლოდ XVII საუკუნეში დაიწყო. მსოფლიოში გაცილებით უფრო მდიდარი ენები არსებობს, მაგალითად, ჩინური ენის ლექსიკონი 20 მილიონ ეუროგლიფს ითვლის. შეიძლება, რა თქმა უნდა, იცოდეთ მხოლოდ სუფსისის პრობლემები და ეს სამარცხვინო სრულყოფილი არ არის, მაგრამ ნამდვილად სამარცხვინოა დიდი აპლომბითა და ქედმაღლური ზიზღით იმ თემაზე მსჯელობა, რომელიც არ იცი და არც არაფერი გესმის. მაგრამ, ამ შემთხვევაში უფრო მაინტერესებს ის, თუ ქართველი ინტელიგენტი ბოჭორიშვილი ასე რატომ ალაშობა ქართველი მეცნიერის ვერსია იმის შესახებ, რომ უძველეს ქართველურ ენაში – ზანურ-ჭანურში შეიძლება იყოს რამდენიმე მილიონი სიტყვა. მე ფილოლოგი არ ვარ და არ შემიძლია ძაძაძიას ვერსიის კვალიფიციური შეფასე-

ბა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერ ნორმალურ ქართველში ეს ვერსია დაინტერესებულბას, ყოველ შემთხვევაში, კეთილ დამოკიდებულებას უნდა იწვევდეს. წარმოიდგინეთ, რომ ანალოგიური ვერსიით გამოვიდეს სომეხი მეცნიერი მის მშობლიურ ენასთან დაკავშირებით. მას ხომ სამშობლოში ეროვნულ გმირად გამოაცხადებენ!

ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილის ამ გამოსვლაზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ საკუთარი კულტურის, ისტორიისადმი ასეთი აგდებული დამოკიდებულება დამახასიათებელია ჩვენი პოლიტიკური „ელიტისათვის“, ჩვენი „სახელოვანი“ ფსევდოინტელიგენციისათვის... 2000 წლის მაისი“.

ჩვენი გაზეთის გვ-3 გვერდზე მთავარსაზრტო ბატონ მამანტი ძაძაძიას, ქალბატონ სირა ძაძაძიას და ბატონ ვლადიმერ ვახანიას მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს.

## მამანტი ვახანიასი ქაძაძიანი


დაიბადა 1940 წლის 29 მაისს წალენჯიხის რაიონის სოფელ ეწერში, მრავალშვილიან ოჯახში. მშობლები – ბესარიონ მარკოზის ძე ძაძაძი და შაში მიხეილის ასული ჭითანავა, გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით. მამანტი ძაძაძიამ წარჩინებით დაამთავრა: 1958 წელს – კ. ნ. შეროზიას სახელობის წალენჯიხის საშუალო სკოლა, 1965 წელს – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი აგრონომის სპეციალობით, 1984 წელს – საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის მართვის ინსტიტუტი, 1989 წელს – საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. სწავლის პერიოდში იგი ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით და სიბეჯითით.

მ. ძაძაძიას სხვადასხვა დროს მუშაობდა კოლმეურნეობაში ფიზიკურად, კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად, კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილედ და მთავარ აგრონომად, პარტიის რაიკომის საერთო განყოფილების გამგედ. აგროსამრეწველო გაერთიანების რაიონული საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, პარტიის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული საბჭოსა



გაგრძელება მე-5 გვ.





# ბერიხ XX საუკუნის საკითხის პენაჯერი

## თარგმანი როლანდ ჯალალნიასი

სარგაი ქაეზილი

შექმნილი კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ლ.პ. ბერია – თავმჯდომარე; გ.მ. მალენკოვი – სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ნ.ა. ვოზნესენსკი – სსრკ საგეგმო კომისიის თავმჯდომარე; ბ.ლ. ვანნიკოვი – იარაღის მარაგის სახალხო კომისარი; ა.პ. ზავენიაგინი – სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე, შინაგან უსიგის მ-9 სამმართველო უფროსი; ი.ბ. კურნატოვი – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის №2 სპეცლაბორატორიის უფროსი, აკადემიკოსი, პრობლემათა სამეცნიერო ხელმძღვანელი; პ.დ. კაპიცა – აკადემიკოსი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი; მ.ა. მახნევი – სპეციალური კომიტეტის მდივანი; მ.გ. პერეჟუხინი – სსრკ ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარი.

როგორც ხედავთ, ამ შემადგენლობაში მოლოტოვი არ ფიგურირებს. თანაც, რა საქმიანი ფუნქცია უნდა ჰქონოდა მას ასეთი მაღალი კომისიის შემადგენლობაში? სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, ასევე ატომური ბომბის შექმნაზე დაკავებული სამრეწველო საწარმოების უშუალო ხელმძღვანელობისათვის სსრკ სახკომსაბჭოსთან შეიქმნა პირველი მთავარი სამმართველო, რომელიც სპეციალურ კომიტეტს ემორჩილებოდა. ამ უწყების ხელმძღვანელად დაინიშნა ვანნიკოვი, რომელიც განთავისუფლდა სსრკ იარაღის მარაგის სახალხო კომისარის თანამდებობიდან. მის მოადგილეებად დაინიშნენ ა.პ. ზავენიაგინი (პირველი მოადგილე), ნ.ა. ბორისოვი (სსრკ საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელი), პ.ი. მეშჩიკი (საიდუმლოების რეჟიმის ზედამხედველი), პ.ი. ანტროპოვი (დაზვერვა და ურანის ბუნებრივი რესურსების მოძიება) და ა.გ. კასატკინი (ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარის მოადგილე).

აღბათ მკითხველს ეცნობა გვარი ნ.ა. ბორისოვი. დიახ, ეს ბორისოვი გახლდათ, ლავრენტი ბერიას სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრობის დროს რომ უზრუნველყოფდა ფრონტის მომარაგებას შეიარაღებითა და საბრძოლო მასალებით. ახლა კი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბორისოვი ფაქტურად გადადიოდა პირველ მთავარ სამმართველოში. და იგი ბერიამ წაიყვანა თავისთან, რადგან იგი სათანადოდ აფასებდა პროფესიონალებს. ამიტომაც მოუყარა მან თავი პირველ მთავარ სამმართველოში საქმით შემოწმებულ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს.

ვანნიკოვი, ზავენიაგინი და ბუნებრივია, მეშჩიკი და მახნევიც ლავრენტი ბერიამ მიიწვია აღნიშნულ კომიტეტში.

სპეცკომიტეტის 1945 წლის 28 სექტემბრის სხდომის №6 ოქმის VII პუნქტში გათვალისწინებული იყო სპეცკომიტეტში რაღაც №2 ბიუროს შექმნა, რომელიც უშუალოდ ბერიას დაემორჩილებოდა. მისი ფუნქცია იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, ვინც მას ხელმძღვანელობდა. ბიუროს უფროსად დაინიშნა საგარეო დაზვერვის უფროსის მოადგილე, ჩვენთვის კარგად ნაცნობი პავლე ანატოლის ძე სუდოპლატოვი, მისი მოადგილეები კი გახდნენ ნ.ს. სახიკინი, ნ.ი. ვინტიგონი და ლ.პ. ვასილევსკი. ესენიც ბერიას ძველი თანამშრომლები და ნაცნობი თანამებრძოლები იყვნენ და ეს არც არის გასაკვირი – მათ წინ უადრესად სერიოზული სამუშაო ელოდათ.

კადრებისადმი ასეთი ბრძნული მიდგომა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბერია

დიდ პატივს სცემდა და ენდობოდა იმ ადამიანებს, რომელთაც შედეგიანი მუშაობა ძალუდათ. მათ, ვინც კარგად იცინან საპასუხისმგებლობის, საქმეებში ადამიანის მნიშვნელობისა, ყოველთვის გამოარჩევდა კადრებისადმი ფაქიზი და ბრძნული დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გავაცადოთ ბერიას მიმართ წამოწვეული ყველა ბრალდება – დაწვეული მისი უხეშობით და დამთავრებული შექალაქანობით. ეს ყველაფერი უგვანო პარტოკრატებისა და „დემოკრატ“ ანტისაბჭოთა ელემენტების მონაწილეობა!

ზოგჯერ კი ვხვდებით ადამიანების მიერ საკუთარი დამსახურებების უზომოდ განდიდების შემთხვევებს. მაგალითად, ვანნიკოვის მოგონება იმის თაობაზე, რომ თითქოს სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ სპეცკომიტეტის შექმნაზე დადგენილების მიღებამდე ერთი დღით ადრე იგი სტალინმა გამოიძახა, რათა მოთხოვნილიყო ბერიას წინადადებაზე – სპეცკომიტეტი შექმნილიყო სწორედ სსრკ შინსახკომის ბაზაზე. ვანნიკოვი მას თითქოს მორიდებით გაუხიარა საკუთარი აზრი ბერიას მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რის შემდეგაც სტალინმა სპეცკომისიის საქმიანობა პარტიულ კონტროლს დაუმორჩილა.

მუშაობის ამგვარი სტილი სტალინისათვის აშკარად არ გახლდათ დამახასიათებელი, თანაც, არც ვანნიკოვი გახლდათ იგი ფიგურა, ვისაც სტალინი რჩევას დაეკითხებოდა, ისიც „ატომურ“ საკითხებში, რის თაობაზეც ვანნიკოვს ზერედე წარმოდგენაც კი არ ექნებოდა. თუ კარგად ჩაუფრთხილებით ამ ისტორიას, გაირკვევა, რომ 1962 წელს გარდაცვლილი ვანნიკოვის შეიღმა მამის მემუარები გადასცა ვიდაც ვ.ა. ბარანოვის, რომელიც შემდეგ შეუცვლელად შევიდა ატომურ მონოპოლიაზე გამომცემული წიგნში: „ბირთვული ცენტრი არზამას-16“.

სინამდვილეში კი 1945 წლის 25 იანვარს სტალინი პირველად ესაუბრა პირადად კურნატოვს და ამ საუბარს ესწრებოდნენ ბერია და მოლოტოვი. ასე რომ, სპეციალური კომიტეტის შექმნის იდეა ყალბად იქნებოდა უკვე მაშინ, ვანნიკოვის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. სამწუხაროდ, ბერიას „ატომური“ საქმიანობის (ისევე, როგორც მთლიანად ლავრენტი ბერიას პიროვნებაზე) შესახებ უამრავი ცილისმამბელო ტორი დახეირობს. ამის თაობაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

ერთადერთი, რაც უკვს არ იქნება, არის ის, რომ ატომურ პრობლემაზე სამუშაოების დაწყების დღიდან სტალინს ყველაფერი პირად კონტროლზე ჰქონდა აყვანილი, და იგი ყოველდღიურად იღებდა ინფორმაციებს სამუშაოთა მიმდინარეობის თაობაზე. აი, ამის ნათელი მაგალითი... 1946 წლის 31 იანვარს აკადემიკოსი ა.ი. ალიხანოვი უგზავნის წერილს იოსებ სტალინს:

**“დრამატიკული იოსებ ბესარიონის ძე!”**

**ბერიამ მაცნობა, რომ თქვენ განიტერესებთ შემდეგი საკითხები:**  
**რა როლს თამაშობს თანამედროვე ფიზიკაში კოსმოსური სხივების კვლევა;**  
**რა არის გაკეთებული ამ სფეროში ჩვენს მიერ;**

**რომელი მიმართულებით უნდა განვითარდეს ეს სამუშაოები, დაბოლოს, როგორი ღონისძიებებით შეიძლება დავეხმაროთ ამ სამუშაოთა გააქტიურებას.**

**პირველ სამ შეკითხვაზე თანდართულ წერილში პასუხი გაცემულია, რაც შეეხება უკანასკნელ შეკითხვას, მასზე პასუხი გაცემულია ცალკეულ დანართში...”**

შემდეგ მოდიოდა დაწერილებით განმარტება და დანართი. წერილის გაცნობის შემდეგ სტალინმა მას წითელი ფანქრით წააწერა რეზოლუცია: **“თანახმა ვარ. ი. სტალინი”.**

მარცხენა დაბლა კუთხეში კი დომინირებს საბჭო მანქანაზე შესრულებული ბერიას ვიზა: **“კოსმოსური სხივების საკითხი გარკვეულია სსრკ სახკომსაბჭოს 1946 წლის 4 მარტის №503-208ს დადგენილებით”**, შემდეგ კი მისივე ხელით მიწერილია: **“ამხ. მახნევეს. ლ. ბერია, 4.III.1946 წელი”.**

ამ საქმის საორგანიზაციო მხარე ასე გამოიყურებოდა... ყველა მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხი განიხილებოდა პირველი მთავარი სამმართველოს აპარატში, სპეცკომიტეტის სამდივნოში და სპეცკომიტეტის ტექნიკური საბჭოს აპარატში.

შემდეგ საკითხი განსახილველად გაჰქონდათ სპეცკომიტეტის მორიგ სხდომაზე და მისი გაფორმება ხდებოდა სპეციალური ოქმით. სხდომა ყოველ პარასკევს, 9 საათზე, ინიშნებოდა კრემლის სხდომათა დარბაზში (ზოგიერთი გამოწვევის გარდა). ამ ოქმების საფუძველზე ხდებოდა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში გასატანი დადგენილებების მომზადება (მოგვიანებით – სახკომსაბჭო, შემდეგ კი – მინისტრთა საბჭო), რომელიც შემდეგ ხელმოსაწერად მიჰქონდათ სტალინთან. ზოგჯერ მათ ხელს აწერდა ბერია.

1946 წელს პირველი მთავარი სამმართველოს საშტატო განრიგი 762 ერთეულით იყო დაკომპლექტებული, მათ შორის 50 ერთეული სამდივნოზე მოდიოდა და ეს არც იყო შემთხვევითი – მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის ტექნიკური დარგის თანაშემწეობა გამართულ მუშაობაზე დიდად იყო დამოკიდებული თვით მთავარი სამმართველოს საქმიანობა. აპარატის მუშაკებს შემდეგი ხელფასები ჰქონდათ: პირველი მთავარი სამმართველოს უფროსი – 4,500 მანეთი, მის მოადგილეებს – 4000 მანეთი, უფროს ინჟინერს – 2000 მანეთი, მსახველ-კონსტრუქტორს 1,200 მანეთი, დამლაგებელს – 400 მანეთი.

პირველ მთავარ სამმართველოს შენობა ჯერ კრივოკოლენის შესახვევში გამოუყვეს, სპეცკომიტეტის სამდივნოს კი ათი ოთახი ეკავა კრემლში, ბერიას კაბინეტთან ახლოს, რომელიც ატომურ პროექტზე მუშაობის დროს არ განთავისუფლებულა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

ლავრენტი ბერიამ თანდათან, მაგრამ მყარად დაიძვედრა ადგილი საბჭოთა კავშირის ურანზე მომუშავე ატომურ კომისიაში. და იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე რჩებოდა საბჭოთა ატომური პროგრამის კომპეტენტურ ხელმძღვანელად. მაგრამ იგი, ამ დროისათვის, სპეცსამსახურებს უკვე აღარ ხელმძღვანელობდა და აღარც კურირებდა.

აქ კი საჭიროა განმარტება... სპეციალური კომიტეტი და მისი სამუშაო ორგანო – სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული პირველი მთავარი სამმართველო დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა უწყებებიდან, მათ შორის შინსახკომიდან და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტიდან გადმოყვანილი კადრებით. ეს იოლი ასახსნელია – ლავრენტი ბერია თავის „ატომურ“ გვარდას ყველა სფეროდან აკომპლექტებდა, სადაც კი მას უნარიანი და ინიციატივანი მუშაკები ეგულებოდა. ახლა კი ისინი აღარ იყვნენ შინსახკომის თანამშრომლები. ბერია შეეძლო განკარგულებები მიეცა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ (მოგვიანებით კი მინისტრ) კრუგლოვისათვის, მაგრამ მხოლოდ „ატომური“ ხაზით.

იგივე ეხებოდა დაზვერვის საკითხებსაც. ბერია უკვე აღარ ხელმძღვანელობდა ამ საქმეს – იგი უშიშროების მინისტრების კრუგლოვისა, აბაკუშოვისა და იგნატიევის კომპეტენცია გახლდათ. თუმცა ბერიას მათზე მაინც ჰქონდა გარკვეული ზეგავლენა, იმიტომ, რომ სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებაში სპეცკომიტეტის შექმნის თაობაზე, რომელსაც ხელს აწერდა იოსებ სტალინი, ეწერა: **“დაევალოს ამხანაგ ბერიას, რომ საზღვარგარეთის სადაზვერვო ორგანოების მეშვეობით მიიღოს სრული ინფორმაცია ურანის წარმოებასა და ატომურ ბომბზე...”**

სტალინის მიერ ხელმოწერილი ყველა ამგვარი დოკუმენტი გამოირჩეოდა მიზანდასახულობით და კონკრეტულობით. ამავე დროს, ისიც უდავო ჰქმნობოდა, რომ საბჭოთა კავშირში ურანთან დაკავშირებული ვერცერთი პრობლემა გვერდს ვერ აუვლიდა ბერიას.

მაშ ასე, ბერიას დავალებული ჰქონდა ატომური მრეწველობის სამუშაოთა ხელმძღვანელობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას უნდა შეექმნა სახალხო მეურნეობის სრულიად ახალი დარგი. და მიუხედავად იმისა, რომ ურანზე მუშაობა საბჭოთა კავშირში დაიწყო დიდი სამამულო ომის დროს და ომამდეც კი, ახლა მას სრულიად ახალი გაქანება უნდა მიეღო.

ურანის საბადოების დაზვერვა სსრკ კავშირის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის და ბულგარეთის ტერიტორიაზე და მისი მოპოვება, ძველი ფაბრიკა-ქარხნების გადაიარაღება და ახალი ობიექტების მშენებლობა, ახალი პროექტების წარმოების ორგანიზაცია (მაგალითად, ურანის დამუშავებას სჭირდებოდა ისეთი სუფთა გრაფიტი, რომელსაც მანამდე საბჭოთა კავშირი არ აწარმოებდა), სამეცნიერო სამუშაოების უზრუნველყოფა, **“ობიექტებზე”** ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა – აი, ისი სისიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დარგები, რომელთა განხორციელებასაც დიდი ჯეჟა და ძალისხმევა სჭირდებოდა. და ამ ყველაფერზე ზრუნავდა სპეცკომიტეტის თავმჯდომარე ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

და ეს ყველაფერი სახუმრო საქმე რომ არ იყო, ამასე დოკუმენტები მეტყველებენ. სახეაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ატომურ პროექტზე მუშაობისას ბერიამ ყოველნაირი დოკუმენტი მოიმარაგა, რაც აშკარად ხნანს წიგნში **“საბჭოთა კავშირის ატომური პროექტი – დოკუმენტები და მასალები...”**, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის 1995 წლის 17 თებერვლის №160 დადგენილების საფუძველზე გამოიცა. მასში თავმოყრილია ადრე კერიოდის უამრავი საიდუმლო დოკუმენტი.

სწორედ ამ საიდუმლოების გამო, მასზე ვერ მიუწვდით მსახურადი ხელი ხრუშჩოვსა და ხრუშჩოველებს, გორბაჩოვს, ელცინს და მათ დამკაშებს, რომლებიც სინდისის ქენჯნის გარეშე ანადგურებდნენ წარსულის რეალობის ამსახველ უტყუარ დოკუმენტებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ წიგნში ამ დოკუმენტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შესული, იგი მაინც მკითხველთა ცხოველ ინტერესს იწვევს. **სწორედ ამ დოკუმენტების დაწვრილებით გაცნობის შემდეგ შეეძლო შეექმნა რუსეთის ტერიტორიაში შიგნით – ლავრენტი ბერიას ჯემარტი სახე. ეს საბუთები რომ არ მქონოდა, საერთოდ ვერ შევძლებდი ბერიას მიახლოებული სახის გამოძერწვასაც კი.**

უკვე გამოსულ რვა წიგნში არ ფიგურირებენ თანამედროვეთა მოგონებები და პირადი შეხვედრებები. აქ არის სკურპულულოზურად დამუშავებული (ყოველნაირი ვიზის, წარწერის, ხელმოწერის, შენიშვნის გამოშვირებით) განსაიდუმლოებული დოკუმენტები. აქ ასევე შეხვედრებით გრივებს: **“სრულიად საიდუმლოდ”, “შეკარად საიდუმლოდ** (განსაკუთრებული საქალაქად), **“შენახულ იქნას შიგნის რეჟიმში”** და სხვა ამგვარი. აქ თავმოყრილია კონკრეტული და საქმიანი შენიშვნები, დოკუმენტური მასალა, რომელიც ნებისმიერი დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებს დაამშვენებდა.

ეს დოკუმენტები იმითაცაა ფასდაუდებელი, რომ მას წლების განმავლობაში ქმნიდნენ და თავს უფრიდნენ არა ისტორიკოსები ან პუბლიცისტები, არამედ **“ატომური”** საქმის ზეპროფესიონალები, ჩემს მიერ უკვე ხსენებული ფიზიკოსი-მეიარაღე, ლეინური პრემიის დაზვერვატი, სოციალისტური შრომის გამირი, მეცნიერების დოქტორი გერმანე არსენის ძე გონჩაროვი და პოლკოვნიკი პავლე პეტრეს ძე მაქსიმენკო. მათი საქმიანობა მოკლებულია სუბიექტივიზმს, კონიუნქტურულობას, არაპროფესიონალიზმს და აშკარად გამოირჩევა როგორც ბირთვული ფიზიკის, ასევე დაზვერვის საკითხებისადმი სიღრმისეული წვდომით.

(გაგრძელება იქნება)





# მამანბი კაკაშიას, სირა კაკაშიას და ვლადიმერ ვახანიას უნივერსიტეტი – “მეგრული ენის ლექსიკა და სოციალურ-ეკონომიკური უნივერსიტეტი”

გაგრძელება მე-3 გვ.დან. და პროფკავშირთა გაერთიანების რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მრავალჯერ იყო არჩეული პარტიის რაიკომისა და ბიუროს წევრად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების დეპუტატად. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რაიონულ საბჭოს და მრავალდარგოვან სახალხო უნივერსიტეტს. ყველგან სადაც კი უმუშავებდა მუდამ აღწევდა მაღალ წარმატებებს და იმსახურებდა ადამიანების სიყვარულსა და პატივისცემას. ამ თანამდებობებზე მუშაობის დროს გამოვლენილმა სიკეთემ, სიბრძნისმოყვარეობამ, პრინციპულობამ, პატიოსნებამ და ნიჭიერებამ მას უამრავი კეთილიმსურველი და მეგობარი შესძინა. მ. მამანბი თავისი პრინციპულობა და უზადო პატიოსნება არ გაცვალა პრივილეგიებსა და ჩინ-მედლებზე და დაკარგა რა რწმენა მისადმი, დატოვა კომუნისტური პარტიის რიგები. ქვეყნად ეროვნული მოძრაობის გაშლის პერიოდში ერთ-ერთი პირველთაგანი დადგა პატრიოტთა გვერდით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რის გამოც მისი და მისი ოჯახის სიცოცხლე არაერთხელ აღმორჩნდა ხიფათში...

მ. მამანბი ახალგაზრდობიდანვე იჩენდა დაინტერესებას მეცნიერების სხვადასხვა დარგში. გააჩნდა მაღალტიტულოვანი სპეციალისტების მიერ საკანდიდატო დონის შესატყვისად შეფასებული სამეცნიერო ნაშრომები აგროქიმიკაში (ხელმძღვ. პროფ. გ. გოლეთიანი), ისტორიაში და ეთნოგრაფიაში (რეცენზენტი პროფ. ვ. ითონიშვილი), სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში (სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვ. პროფ. ო. ვაშაქიძე), და ენათმეცნიერებაში, რაც საბოლოოდ მისი განსაკუთრებული დაინტერესების საგანი გახდა.

მ. მამანბიას, თანაავტორ ქალ-იშვილთან – ცირა მამანბიასთან ერთად, გააჩნია 2600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან აქამდე გამოქვეყნებულია მხოლოდ 20-მდე ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია 4 წიგნად. მათი კვლევის ძირითადი საკითხია ენის წარმოშობის საფუძვლები.

მ. მამანბი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ეწევა პედაგოგიურ მუშაობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მას, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა, ჯერ უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის (1993 წ.), შემდეგ დოცენტის (1994 წ.) და ბოლოს პროფესორის (1995 წ.) წოდებანი და შესაბამისი თანამდებობანიც. 1996 წელს მას ირჩივეს აგრეთვე გალის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორად, 2002 წლიდან არის თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის, აქამდე **“ევროპული უნივერსიტეტი”**, წალენჯიხის ფილიალის პროფესორი და პრორექტორი სამეცნიერო დარგში. 2005 წლიდან არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ზუგდიდის ფილიალის საპატიო

პროფესორი. 10 წლის განმავლობაში მასწავლებლობდა აქვე, მათ შორის 7 წლის განმავლობაში ასწავლიდა სტუდენტ ახალგაზრდობას, ფაკულტატურულად, მის მიერ (ც. მამანბიას თანაავტორობით) ენათმეცნიერებისათვის შეთავაზებულ ახალ დარგს – **„სიტყვათწარმოვლობის საფუძვლები“**.

მ. მამანბი 1997 წლიდან არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 2003 წლიდან არის კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, 2005 წლიდან – საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიისა და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 2007 წლიდან აფხაზეთის ატონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 2010 წლიდან ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრი.

მართალი სიტყვა, სინდისი და პატიოსნება, – ესაა მისი ცხოვრების კრედი.

მ. მამანბი დაჯილდოებულია მედლებით, საპატიო და ქების სიგელებით, **„სახალხო განათლების წარჩინებულის“** სამკერდე ნიშნით. არის თადარიგის უფროსი ლეიტენანტი და შრომის ვეტერანი.

მ. მამანბიას მეუღლე ელენორა მეზონია სპეციალობით პედაგოგია. შვილები ცირა, ირინე, ია და ბესარიონ (ბესიკი) უნივერსიტეტისა და მაგისტრატურის წარჩინებით კურსდამთავრებულნი არიან და კვლავაც იმსახურებენ კვალიფიკაციის მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მათ შორის ცირა მამანბია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია და არის მეცნიერებათა აკადემია „ფაზის“-ს აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს აკადემიკოსი და ვიცე-პრეზიდენტი. ია მამანბია არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს სწავლული მდივანი, ბესარიონ მამანბი – ამავე აკადემიის მთავარი სპეციალისტი.

## სირა მამანბის ასული კაკაშია

დაიბადა 1978 წლის 2 აგვისტოს წალენჯიხის რაიონის სოფელ ეწერში.

ცირა მამანბიმ 1995 წელს წარჩინებით დაამთავრა წალენჯიხის №1 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რომლის სრული კურსი ფრიადი წარმატებით დაამთავრა 1999 წელს.

1999 წელს დაიწყო მუშაობა ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან არსებულ მრავალდარგოვან კოლეჯში. პარალელურად ასწავლიდა საგნებს გალის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე 2001 წლის ოქტომბრიდან.

2001 წლის ოქტომბრიდან მუშაობს თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის (ამჟ-



მად საქართველოს ევროპული უნივერსიტეტის) წალენჯიხის ფილიალში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

არის ამავე ფილიალის ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალის „მარჯობი“-ს მთავარი რედაქტორი. იგი პოეზიის მოყვარული და ყოველმხრივ ნიჭიერი ახალგაზრდაა.

2003 წელს გამოიცა ცირა მამანბიას ლექსების პირველი კრებული სახელწოდებით **„მარადი ფიქრი“**.

2004 წელს ჩაირიცხა მაძიებლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ჩააბარა მინიმუმით კითხვისწინებული საგნები და 2006 წლის 26 სექტემბერს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი მეგრულში“**.

2005 წლის ოქტომბერში ცირა მამანბია არჩეულ იქნა ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად და **„საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსად“**, 2007 წლის ოქტომბერში – საქართველოს ეროვნული აკადემია „აია“-ს აკადემიკოსად, ქართველურ ენათა განყოფილების გამგედ და პრეზიდენტის წევრად, ხოლო 2010 წლიდან ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, 2007 წლის ოქტომბრიდან – აფხაზეთის ატონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

2007 წლის იანვრიდან არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ცირა მამანბია ჯერ კიდევ სტუდენტობის პირველი წლებიდან ეზიარა სამეცნიერო მუშაობას ენათმეცნიერებაში და გამოიჩინა დიდი აღლო და შრომისმოყვარეობა. იგი, მამამისთან, მამანტი მამანბიასთან ერთად თანაავტორია 2600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის, 10 მონოგრაფიისა.

ცირა მამანბიას ჰყავს მშობლები, ორი და და ერთი ძმა. მამა, მამანტი ბესარიონის ძე მამანბი, სპეციალობით აგრონომი და ეკონომისტი, თვითნასწავლია ენათმეცნიერებაში. იგი არის სამი აკადემიის ნამდვილი წევრი და ოთხი უნივერსიტეტის პროფესორი. დედა, ელენორა ალექსანდრეს ასული მეზონია, სპეციალობით პედაგოგია. დედა, ირინე და ია მამანბიები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის წარჩინებით კურსდამთავრებულები არიან, ბიოლოგის, კერძოდ, შესაბამისად, – ზოოლოგისა და იმუნოლოგის სპეციალობით. ამავე უნი-

ვერსიტეტის მაგისტრატურის წარჩინებით კურსდამთავრებულია ძმა ბესარიონ (ბესიკი) მამანბი, რომელიც ფინანსისტი და საგადასახადო საქმის სპეციალისტია.

## ვლადიმერ ბესარიონის ძე ვახანია

ვლადიმერ ბესარიონის ძე ვახანია დაიბადა 1954 წელს, ქალაქ ზუგდიდში. დაამთავრა ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლა. უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო რუსეთში – დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იქვე დაიწყო შრომითი საქმიანობა. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორია. არის რამ-



დენიმე აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი. წლების მანძილზე მუშაობდა პროკურორად, ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. იყო სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური საზოგადოების სამდივნოს ხელმძღვანელი და მოსკოვის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი. მრავალი სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების ავტორია, რომელიც სამოქალაქო, საფინანსო, სისხლის სამართლის, კორუფციასთან, ტერორიზმთან, „შვი“ ფულის „გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა.

ამ ბოლო წლებში მისი ავტორობით გამოიცა წიგნები: „**იბ. სტალინის საიდუმლო მასალები**“, „**მსოფლიო ფინანსური დაზვერვა**“, „**საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და კონტროლის მექანიზმი**“, „**ფული და ტერიორი**“.

მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის პრემიის ლაურეატია.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. **P.S** აუდიტორიისათვის უდავოდ საინტერესო იქნება ვლადიმერ ვახანიას ბიოგრაფიული შტრიხი, რომელიც მისი ერთ-ერთი წიგნის რეცენზიას წაუძღვარა წინ ცნობილმა ქართველმა იურისტმა ბატონმა **ჯემალ შელიამ**, რასაც შეუცვლელად ვთავაზობთ მკითხველს.

**ვლადიმერ ვახანია, სამართლის დოქტორი, აკადემიკოსი, რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი, 25 წიგნის ავტორი, ლომონოსოვის პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებული იურისტი მედიტი მეცნიერებაში, კულტურისა და განათლებაში შეტანილი წვლილისათვის, საერთაშორისო ჟურნალისტთა ორგანიზაციის წევრი, „კოლხეთის დევისმშობლის“ სკულპტურული ხატის ავტორი, შეიდტომეულის „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათაწარმოვლობის“ თანაავტორი, აქვს სერიოზული კვლევები**

ისტორიის და ეკონომიკის დარგში, აქვს დაპატენტებული პროგრამა „**MEC**“ (საერთაშორისო ეკონომიური თანამეგობრობა). მან ციხეში დაწერა 38 სტატია.

წიგნში **თავმოყვრილია ვლადიმერ ვახანიას ციხიდან გამოგზავნილი წერილები, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთებში. მოკლე შესავალში შეუძღვრებელია გადმოსცე ბატონ ვლადიმერ ვახანიას მიმართ გატარებული ღია თუ ფარული რეპრესიული ღონისძიებები (ამას დაკვირვებული მკითხველი მის წერილებში იხილავს), მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ის განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა კონკრეტულ საქმეში იკვეთება ხელისუფლებისთვის მახასიათებელი ყველა მანკიერება და სიმახინჯე, რაც ერის ისტორიულ მეხსიერებაში განუხვაველი არ დარჩება.**

**მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ვლადიმერ ვახანია თავისი წესიერი, ღირსეული და საინტერესო ბიოგრაფიის, შეუვალი და პრინციპული ხასიათის გამო გახდა მიუღებელი ხელისუფლებისათვის, რომ მას კონფლიქტი აქვს არა ხალხთან და სამართალთან, არამედ ხელისუფლებასთან და მის ანტიეროვნულ პოლიტიკასთან, ცინიზმსა და უსამართლობასთან და რომ იგი ციხეში გამოძევებულია არა კანონის დარღვევის, არამედ ხნოების, კაცობის და ღირსების დაცვის გამო.**

**ბატონი ვლადიმერ ვახანია არა სამთავრობო და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ აღიარებულია პოლიტიკტიმრად, მიუხედავად პოლიტიკური ზეწოლისა, იგი ბრძოლას აგრძელებს და ჩართულია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ვლადიმერ ვახანია პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველოს“ დამფუძნებელი და ლიდერია. მიუხედავად საპყრობილოში არსებული უშიშროების მდგომარეობისა, ინტენსიურად მუშაობს ახალ წიგნზე, რომელიც მალე გამოვა და დამსახურებულად მიიპყრობს ქართველი მკითხველი საზოგადოების ყურადღებას.**

**ბატონ ვლადიმერ ვახანიას მიმართ ქართული მართლმსაჯულების მიერ გამოტანილ უკანონო განაჩენზე შეტანილი საჩივარი უცილოდ იქნება განხილული ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ, რაც მსოფლიო თანამეგობრობისათვის ერთხელ კიდევ ცხადყოფს ქართული დემოკრატიის ყალბ პათოსს, მაგრამ ჭეშმარიტ შედეგად მისასწავლი გზა საკმაოდ მძიმე და ეკლავია. ბნელ საკანში, სანთლის შუქზე დაწერილი ეს წერილები, ვფიქრობ, ქართველ მკითხველს განუშტკიცებს რწმენას, რომ მალე დასრულდება ქართული თვითმყოფადობის განადგურებისაკენ მიმართული ბაკანაღალია და ქართული სულიერება ჭეშმარიტად გამარჯვებს ბოროტებაზე.**

**ჯემალ შელია, ადვოკატთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში.**



# აფხაზური ბებრების კვლევები

გაზეთ "ილოხის" მკითხველებს ვთავაზობთ ჩვენი აფხაზი მეგობრის, გაზეთ "გალის" მთავარი რედაქტორის ბატონ ნუზარ სალაჟიას წერილების ციკლს, რომელიც ქვეყნდება ამ გაზეთში

**მკითხველი ეცნობა ჩვენს წერილებს აფხაზური გვარების თაობაზე, რომელი ციკლიც ჩვენ დავიწყეთ აფხაზ თვადრთ საგვარეულოზე თხრობით. ეს არ გახლავთ შემთხვევითი. იმ პერიოდში სამურზაყანოში შედარებით გამორჩეული გახლდათ ჩაჩბების, მარშანების, ინალ-იფების, ჩხოტუების, ზვანებისა და სხვა საგვარეულოები. გამორჩეული, თუნდაც იმიტომ, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ არა მხოლოდ აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღეს მკითხველებს ვთავაზობთ სტატიას ერთ-ერთ გამორჩეულ გვარზე – ჩხოტუაზე. მართალია, არ გავაჩნია ამ საგვარეულოზე ისტორიული მონაცემები. ეს სწავლულთა საქმეა. ჩვენ მხოლოდ ჩხოტუების საგვარეულოს შთამომავალთა მიერ მოწოდებულ ცნობებს გავაცნობთ.**

## ვიქტორ მიხეილის ქ ჩხოტუა

სამურზაყანოს ტერიტორიაზე სახელგანთქმული გახლდათ აფხაზური წარმოშობის თავადების ჩხოტუების საგვარეულო. ისინი მე-15 საუკუნიდან მოიხსენიებიან სამურზაყანოს მთიან დასახლებებში: ლეკუხონეში, საბერიოსა და დიხაზურგაში. ჩხოტუების სამი შრომისმოყვარე ოჯახი ვარაჩაევო-ჩერქეზეთიდან (აბაზა) გადმოვიდა, აფხაზეთში დამკვიდრდა და მალე გაიშვილა აქ ფესვი. ტყუილად როდი აღნიშნავდნენ იმდროინდელი უცხოელი მოგზაურები, რომ წარმოუდგენელია შავიზღვისპირეთისა და კავკასიონის სამხრეთ ქედის ტერიტორიები აფხაზების გარეშე, რომლებიც სიამაყით პატივს მიაგებდნენ აქაურებს. ჩხოტუების გვარის ისტორია აუცილებლად უნდა შეისწავლოს მეცნიერებმა, მაგრამ შედარებით ნათელი ერა ამ საგვარეულოსათვის იწყება XIX საუკუნეში. პირველი, ვინც აფხაზეთიდან გენერლის წოდება დაიმსახურა, გახლდათ ზურაბ ჩხოტუა. მოგვიანებით, 1864-1890 წლებში იგი თურქეთში იქნა გასახლებული. ზურაბის შვილი დავითი თბილისში თარჯიმნად მსახურობდა და იყო პრესტიჟული რედაქცია "დროების" სარედაქციო კოლეგიის წევრი, რომელსაც დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე მიუძღოდა. მაგრამ მეფის რუსეთმა არ აპატიო დავითს დაუმორჩილებლობა და იგი 25 წლით იქნა გადასახლებული შორეულ ციხეში. სამშობლოში დაბრუნდა და 1914 წელს აღესრულა კიდეც.

აქმა ბედისწერამ აფხაზეთში, საქართველოში, რუსეთსა და თურქეთში მიმოფანტა ჩხოტუების დიდი საგვარეულოს წარმომადგენლები. ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი ბონდო ჩხოტუა (ჩხოტუა) წუხს იმაზე, რომ ბევრის არაფერის იცის მისი მამის პაპის, ლეკენდარული პიროვნების მიხედვით ჩხოტუას შესახებ. "ვიქტორ ბაბუას გარდა, მას, კიდევ ორი ვაჟიშვილი ჰყავდა, რომლებიც ჩვენს საგვარეულოს ამშვენებენ".

ვიქტორ მიხეილის ძე ჩხოტუა დაიბადა 1875 წელს. განათლება ოდესის ორწლიან სასწავლებელში მიიღო. მშობლიურ სოფელ საბერიოში დაბრუნებისთანავე გახსნა საკუთარი სკოლა, სადაც უფასოდ ამეცადინებდა ღარიბი ოჯახის შვილებს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჯანდონით მსხვერპლად გარდაიცვალა 1918 წელს. მისი მეუღლე (ბებია) მანანა მხვიძე (ხეცია) დღევანდელი გახლდათ და 1948 წელს 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვიქტორ ჩხოტუას ოთხი პირმშო ჰყავდა: შალვა, დავითი, თამარა და ნიკოლოზი.

მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი ბიოგრაფია უფროს შალვას გააჩნია. იგი 1914 წელს დაიბადა და საშუალო განათლება გალში მიიღო. სწავლა სოხუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში გააგრძელა და შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. მშობლიურ ენად აფხაზური მიიჩნდა, რომელსაც შესანიშნავად ფლობდა. ასევე კარგად იცოდა ბერძნული ენა.

შრომითი მოღვაწეობა მშობლიურ სოფელ საბერიოში დაიწყო, შემდეგ კი პარტიის გალის რაიკომის საორგანიზაციო და პროპაგანდის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. იყო რაიკომის ბიუროს წევრი. 1953 წელს გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარკის მანქანათ-სატრექტორო სადგურის უფროსად დააწინაურეს, ერთი წლის შემდეგ კი გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა "გამარჯვება" ჩააბარეს. ამის შემდეგ იგი ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობს. იყო სოფელ რენხო-ცხირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გალის საშუალო სკოლის დირექტორი, ამავე რაიონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე... 1964 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე იყო რაიკომთან არსებული საზოგადოება "ცოდნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე. იგი იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი. გარდაიცვალა 1984 წელს 70 წლის ასაკში.

შალვა ჩხოტუას დამსახურებები სამშობლოსა და მშობელი ხალხის წინაშე სათანადოდ აღნიშნა აფხაზეთის და საქართველოს ხელისუფლებამ. მას მინიჭებული ჰქონდა "აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგისა" და "საქართველოს სახალხო მსწავლებლის" საპატიო წოდებები. დღეს მის სახელს ატარებს ქალაქ გალის ერთ-ერთი ქუჩა.

შალვა ჩხოტუამ და მისმა მეუღლემ ლიუბა წულაიამ ხუთი შვილი აჩუქეს სამშობლოს (თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმცროსი შვილი ნუზარი მათ კაკუბაგების ოჯახს მიაშვილეს).

უფროსი შვილი ბონდო 1942 წელს დაიბადა და დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი. აქვე მიიღეს კომუნისტთა რიგებში. ნიჭიერმა ახალგაზრდამ ამავეროსულად დაამთავრა სადამოს უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი გალის რაიონის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივნად აირჩიეს, რა დროსაც იგი გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში.

დემობილიზაციის შემდეგ ბონდო ჩხოტუა დაინიშნა "შიზურის" მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის აგრომეურნეობის უფროსად, იქიდან კი მეგობრობის საბჭოთა მეურნეობაში გადაიყვანეს, სადაც იმუშავა 1976 წლამდე. შემდეგ იყო გალის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი და უფროსი აგრონომი.

1992-93 წლების კონფლიქტის დროს მას არ მიუტოვებია აფხაზეთი და მუშაობდა გალის გამწვანების უფროსად, სადაც დღესაც საქმიანობს. მას სამი შვილი ჰყავს, რომელთაგან ყველას გააჩნია უმაღლესი განათლება. უფროსი ქალიშვილი – ლია გალის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეა. გიორგიმ თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტი დაამთავრა, უმცროსმა ბესიკმა კი საერთაშორისო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი.

მაგრამ ბონდო ჩხოტუას ცხოვრებამ მძიმე გამოცდაც მოუწყო – გარდაცვალება სრულიად ახალგაზრდა მეუღლე იამზე აკაის ასული რაზმაძე, რომელიც გალის საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგედ მუშაობდა და ყველასაგან პატივსაცემ პიროვნებად იყო მიჩნეული.

ასევე შრომისმოყვარე პიროვნება გახლდათ ბონდის ძმა – ზურაბი, რომელმაც ასევე წარმატებით დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი. მუშაობდა გალის, სიდის და მახუნჯის საბჭოთა მეურნეობებში აგრონომად. ამჟამად პენსიონერია. მეუღლე მანანასთან ერთად მან დირსეული შვილები აღუზარდა

სამშობლოს. ქალიშვილი – მაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ინგლისური ენის პედაგოგია და თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის. ასევე პედაგოგია მამუკაც, რომელიც ერთ-ერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგია.

როცა ბატონ ბონდო ჩხოტუას მისი დების თაობაზე ვკითხეთ, მას გაეღიმა. ძმის მათი ემიგრაცია და ამჟამის კიდევ-ნუნუ ჩხოტუამ სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და გალის საავადმყოფოში მუშაობს დღესაც. მეორე და – ციური კი ქიმიკოსია და გალის საშუალო სკოლაში ასწავლის.

ბონდოსთან საუბარი გავეწყვიტე, რადგან ოთახში, მოულოდნელად, მისი ბიძა კოლია ჩხოტუა შემოვიდა. სიმართლე გითხრათ, ჩვენ მას ველოდით. მე მას ადრეც ვიცნობდი და 1992-93 მძიმე წლებში ერთად ვმუშაობდით. მიუხედავად შთამბეჭდავი ასაკისა (კოლია ჩხოტუა 87 წლისაა) მას შერჩენილი აქვს ძველებური პეწი და იუმორის გასაოცარი უნარი. გულიანი შესუბრა გვექონდა, ყველა აფხაზური წესის დაცვით. კოლიამ ხმამაღლა შესძახა: "ხედავთ, როგორ ხედება ერთმანეთს ორი პოლიგრაფისტი?" (სიტყვისათვის – მე დღესაც ვამაყობ, რომ ოდესღაც პოლიგრაფისტი ვიყავი). საუბარში ისე გაილია ერთი საათი რომ დრო ვერც კი ვიგრძენით...

– კოლია ბიძა, გალში რომ ძველი პოლიგრაფიული დანადგარი შემოიტანონ, იმუშავებთ გაზეთის ბეჭდვაზე? – ნახევრად ხუმრობით ვკითხე მე.

– რა თქმა უნდა, ძალ-ღონე ჯერ კიდევ მერჩის, 20-25 კილოგრამიანი დაკაბადონებული მეტალშიფრებიანი გვერდის აწვევც შემიძლია, მიუხედავად საბეჭდო მანქანის სისწრაფისა, ქაღალდის მიწოდებასაც მოვასწრებ, არც ქაღალდის საჭრელ მანქანაზე მუშაობა შემეშლებს! – სერიოზულად მიპასუხა მან.


– როგორც ვიცი, დიდი ხანი მუშაობდით პოლიგრაფისტად!

– ჭეშმარიტად ასეა, საბეჭდო მანქანასთან პირველად 1943 წელს დავდექი, მაშინ "ამერიკანკაზე" ვმუშაობდი, უმარტივეს საბეჭდო მოწყობილობაზე. დღეს პოლიგრაფიული პროცესები სრულიად ავტომატიზირებულია, მაშინ კი ყველაფერს ჩვენი ხელით ვაკეთებდით – დაწვეული ქაღალდის დაჭრით და დამთავრებული ნაბეჭდი გვერდების დაკეცვით. თერთმეტი მთავარი რედაქტორი შევიცვალე. 1998 წლის არეულობის შემდეგ დავანებე მუშაობას თავი, თორემ დღესაც თქვენს კომპიუტერთან ვიჯდებოდი და გაზეთებს ახალი ტექნოლოგიით გავაკეთებდი!

მართლაც, 1926 წელს დაბადებული კოლია ჩხოტუა ალბათ ყველაზე უხუცესი პოლიგრაფისტია მიუღ პოსტსაბჭოთა სივრცეში. მე მისთვის მეთორმეტე მთავარი რედაქტორი ვარ. 1943 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი გალის პოლიგრაფიულ საწარმოში მიიღეს მუშად, რომელიც 1931 წლიდან მუშაობდა. ჯერ ასოთამწეობი იყო, შემდეგ მბეჭდავი გახდა.

1994 წლის დასასრულს აფხაზეთის ხელისუფლებამ წინადადება მომიცა, რომ გამომეშვა გაზეთი "გალი", რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. ტიპოგრაფია სრულიად განადგურებული იყო, ერთმანეთში არეული შრიფტები იატაკზე ეყარა. მე, აწვანსვენებულმა აპოლონ აბრუმიამ და კოლია ჩხოტუამ თითქმის 4 თვე თავადებულად ვიმუშავეთ, ყველაფერი მოვაწესრიგეთ და 1995 წლის ივნისში მკითხველმა მიიღო გაზეთი "გალის" პირველი ნომერი.

მართალია, იმ დროს აფხაზეთში სამშვიდობო კონტოგენტი იდგა, მაგრამ მდგომარეობა მაინც ფეთქებადსაშიში იყო. ისმოდა სროლა, ჭურვების აფეთქება... ორჯერ აფეთქდა ჩვენი ტიპოგრაფიაც. კოლია ცრემლს ვერ იკავებდა, როცა საბეჭდო მანქანის ადგილზე მუშაობდა, აპოლონი შრიფტს აგროვებდა. სადილზე გიორგი ბერიას, ნიკოლოზ ჩხოტუას და აპოლონ აბრუმიას ჰუმანიტარული კერძი მოჰქონდათ ქვებით... ტიპოგრაფიის ხუთ



ჩხოტუების საგვარეულო ლეზი

თახამშრომელს სხვა საკვები არაფერი გაგვანდა. მოკლედ, ტიპოგრაფიას ვერაფერმა მოგვეწყვიტა და იგი რამდენიმეჯერ ფენიქსივით აღვადგინეთ ფერფლიდან!

პოლიგრაფიულ დარგში ხანგრძლივი და მაღალნაყოფიერი საქმიანობისათვის 1964 წელს ნიკოლოზ ჩხოტუას მიენიჭა "აფხაზეთის დამსახურებული პოლიგრაფისტის საპატიო წოდება". იგი სამჯერაა დაჯილდოებული სხვადასხვა მედლით მედლით.

ნიკოლოზ ჩხოტუამ და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნარეზა მარშვამ სანიმუშოდ გაზარდეს საკუთარი შვილი – გიორგი. ამჟამად იგი ქალაქ ფოთში მუშაობს (ეს კიდევ ერთი დასტური გახლავთ იმისა, რომ ვერცერთო ომი ვერ დააშორებს ერთმანეთს ადამიანებს, რომლებიც ერთ მენტალურ გარემოში გაიზარდნენ და მარად წინაპართა ტრადიციების ერთგულნი რჩებიან – "ილოხი").

ბონდო და კოლია ბიძის გადმოცემით შევიტყვე, რომ ვიქტორ მიხეილის ძე ჩხოტუას შალვასა და ნიკოლოზის გარდა ჰყოლია კიდევ ერთი შვილი – დავითი, რომელიც 1916 წელს დაბადებულა. მას მექანიკოსის სპეციალობა აუთვისებია და აფხაზეთის მაშინდელი სამხედრო კომისარის პირად მძღოლად მუშაობდა. შემდეგ გაიწვიეს დიდ სამამულო ომში, კავკასიის დაცვისას მძიმედ დაიჭრა და მკურნალობდა ბათუმის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მას ორივე ფეხი მოკვეთეს. დიდად საწყენი იყო, რომ მისი გამოჯანმრთელება ვერ მოხერხდა და 1945 წელს აღესრულა. სამწუხაროდ, მას ცოლ-შვილი არ დარჩენია.

– ჩვენ ერთი დავიოც გვეყავა, თამარიკო ერქვა – მითხრა ნაღვლიანად ბიძია კოლიამ, – მაგრამ მან ცამეტი წლის ასაკამდეც კი მიადღია, რაღაც მძიმე სახადმა წაიყვანა...

ძნელია მოვლი საგვარეულოს წარსულის დოკუმენტურად აღდგენა, როცა სათანადო ისტორიული წყაროები არ გააჩნია. მაგრამ ვიმედოვნებ, როგორც აფხაზეთში, ასევე საქართველოში ისტორიკოსები დაინტერესდებიან აფხაზ თვადრთ ამ დიდებული საგვარეულოს წარსულით და მოგვაწვიან სათანადო დოკუმენტურ მასალებს.

**ნუზარ სალაჟია, ჟურნალისტი.**

**შენიშვნა:** ალბათ დაკვირვებულნი მკითხველი შეამჩნევდა, რომ ბონდოს და ნიკოლოზს მე მოვისხენიებ ჩხოტუებად, სხვებს კი ჩხოტუებად. ეს გახლავთ არა ავტორის, არამედ იმ ხალხის შეცდომა, ვინც პასპორტები გასცა. როცა საბჭოთა პასპორტებს არიგებდნენ, მაშინ "ჩხოტუას" ნაცვლად ხალხის ნაწილს ჩაუწერეს "ჩხოტუა". მათი ნაწილი, მაშინ, პასპორტების მიხედვით ქართველები გახდნენ, თუმცა მათ არასოდეს უარყვიათ თავიანთი აფხაზური წარმომავლობა. **ნ.ს.**





# სარკინიგზო მიმოსვლის პირველი აფხაზი ინჟინერი, გამორჩენილი საზოგადო მოღვაწე რაქვანი კაკუბაძე

ამას წინათ ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა აფხაზეთიდან მოგვარაფრეს არველოდი კუპრავას სქელტანიანი წიგნი "ხალხი: დრო და ცხოვრება", რომელშიც შესულია ბიოგრაფიული ნარკვევები და ისტორიული პორტრეტები იმ აფხაზი მოღვაწეებისა, რომელთაც ნათელი კვალი დასტოვეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაში. რუბრიკით "აფხაზეთის ღირსი უკრაინის შვილები", ვაგრძელებთ წიგნში დასტამბული ბიოგრაფიების გამოქვეყნებას.

რაქვანი კაკუბაძე დაიბადა 1873 წელს, სამურზაქანოს მაზრის (გალის რაიონი) სოფელ ღუშურიში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ოჯახი მრავალშვილიანი გახლდათ, მაგრამ მშობლებმა რომ ბავშვს განათლებისადმი სწრაფვა შეატყვეს, ყველაფერი ილონეს საიმისოდ, რომ მას განათლების მიღება გაეგრძელებინა. რაქვანი ფრიადებზე დაამთავრა სოხუმის მთიელთა სკოლა, შემდეგ კი ქალაქ მთავრობის გიმნაზია და 1894 წელს ჩაირიცხა სანქტ-პეტერბურგის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტში, სადაც, როგორც ნიჭიერი სტუდენტი, ასისტენტად დატოვეს. სწავლაში მიღწეული წარმატებებისათვის რაქვანი კაკუბაძემ საჩუქრად მიიღო 100 დრეკტინა მიწა მდინარე კოდორის ნაპირზე, სოფელ ლატაში, რომელიც მან მაშინვე გადასცა საჩუქრად სოფლის მცხოვრებლებს, რის შემდეგაც ლატას მისი სახელი ეწოდა. შემდეგ რაქვანი მდინარე ამტყულზე საკუთარი სახსრებით ააგო რკინის ხიდი, რამაც მას დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა ხალხში.

XX საუკუნის დასაწყისში რაქვანი კაკუბაძემ აფხაზეთში დაბრუნება გადაწყვიტა, რომელიც იმ დროს ინჟინერ-ტექნიკური კადრების დიდ დანაკლისს განიცდიდა. ამისათვის რაქვანი კაკუბაძემ გულისტკივილით დასტოვა პეტერბურგი, სადაც მას ფართო პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზი ელოდა, მაგრამ სამშობლოსადმი მოვალეობა ახალგაზრდა პატრიოტს სხვა არჩევანს არ უტოვებდა.

აფხაზეთში იგი ენერგიულად შეუდგა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების კვლევა-ძიებას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოხუმთან დამაკავშირებელი ცენტრალური გზის რეკონსტრუქციის და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაყვანის საქმეში. იგი ჩაერთო შავი ზღვის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გაყვანის სამუშაოებში, რომელიც თვალისწინებდა სოხუმში გვირაბების გატარას სარკინიგზო ხიდებისა და ესტაკადების აგებას. მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში რაქვანი კაკუბაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა უნიკალური ენერგოკომპლექსის – სოხუმის (გუმისთის) ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტებისა და აგების სამუშაოებში.

სწორედ აქ იწინა თავი მისმა ერუდიციამ, შერსაშურმა ენერგიამ და განსწავლულობამ. გარდა ამისა, რაქვანი გახლდათ თავისი საქმის დიდი ენთუზიასტი. მისი შუამდგომლობით 1909 წელს აფხაზეთში იქმნება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელთა თაოსნობითაც გამოიცა რამდენიმე სქელტანიანი წიგნი, მათ შორის აფხაზი მწერლისა და საზო-

გადო მოღვაწის დიმიტრი გულიას ლექსების კრებული ("ლექსები და წიგნები"), "ახალგაზრდა ბიჭის წერილი ქალიშვილს" და მ.ო. თარნავას ნაწარმოები "აფხაზეთის ისტორიის მოკლე ისტორიული ნარკვევები". მისივე ინიციატივით შეიქმნა "ზიფის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება".

სწორედ რაქვანი კაკუბაძეს ინიციატივით შეიქმნა 1916 წელს "აფხაზი მოსწავლე საზოგადოების ხელშეწყობის ორგანიზაცია". ქვეყნის საქმეებში ღრმად ჩახედილმა სპეციალისტმა კარგად იცოდა, თუ სიღარიბის გამო როგორ უჭირდა განათლების მიღება სწავლას მოწოდებულ აფხაზ ახალგაზრდობას, ამიტომ, მისი თაოსნობით ხდებოდა ფრიადოსანი სტუდენტების ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა, რაც მათ სრულყოფილი განათლების მიღების საშუალებას აძლევდა. რაქვანი კაკუბაძემ ააგო სტუდენტების ტერიტორიაზე რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი, სოხუმის უმაღლესი სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, რომლის სიკეთეს ათწლეულების განმავლობაში იქიდა არა მხოლოდ აფხაზეთის სტუდენტ-ახალგაზრდობა.

რაქვანი კაკუბაძემ ფასდაუდებელი პრაქტიკული დახმარება გაუწია ცნობილ აფხაზ კარტოგრაფ მ.დ. შერვაშიძეს აფხაზეთის პირველი გეოგრაფიულ-პოლიტიკური რუკის შედგენასა და გავრცელებაში. ამ მასალების საფუძველზე მოგვიანებით შესანიშნავი ატლასი გამოიცა. აღსანიშნავია ისიც, რომ რაქვანი კაკუბაძე წლების განმავლობაში იყო სოხუმის

ტუბერკულოზთან ბრძოლის საზოგადოების წევრი და, ასევე, დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთი ფოლკლორის შეგროვებისა და თავმოყრის საქმეში.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რაქვანი კაკუბაძემ ზღვა სამუშაო გასწია ფართოდ გაშლილი საკურორტო მშენებლობის ფონტზე, თუმცა მას წამითაც არ გაუწყვეტია კაკუბაძის მეცნიერებასთან და გახლდათ აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

რაქვანი კაკუბაძე ტრაგიკულად აღესრულა.

1941 წლის ზაფხულში მას და კიდევ 18 აფხაზი მოღვაწე (ს.პ. ბასარია, გ.მ. მარდანი, ნ.ს. პატეიძე და სხვები) ბრალი დასდეს კონტრრევოლუციურ ნაციონალ-სოციალისტურ საქმიანობაში, რომელთაც თითქოს სურდათ საბჭოთა აფხაზეთში ხელისუფლების საკუთარ ხელში აგება და გერმანულ ფაშისთან აქტიური თანამშრომლობა. ამრიგად, ეს შესანიშნავი სპეციალისტი და გულმხურვალე მამულიშვილი აფხაზეთის შინსახკომის მიერ დალატად შერაცხული ცილისწამების მსხვერპლად იქცა – 71 წლის მოხუცმა კაცმა ვერ გაუძლო საპატიმროს აუტანელ პირობებს და 1944 წლის 5 მაისს თბილისის ციხეში გარდაიცვალა მისთვის გამოტანილი დახვერტის განაჩენის აღსრულების მოლოდინში.

რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდგომ.

არველოდი კუპრავა

## ოქროს პარკავენის ნოინანგაზი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ზუგდიდში ჩატარდა "ოქროს პერგამენტის" კონკურსი, რომელმაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა. კონკურსის მიზანი გახლდათ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და პოპულარიზაცია. მკითხველებს ვთავაზობთ კონკურსის მონაწილეთა ნაწარმოებებს.

### თიმურ ელიაშვილი

ენგურის მინდვრებს ზეცას რომ გადაუკოცინო,  
ჯეგებს მთის ქედებზე ნამად მოვედები,  
იქაც ვითამადავ მედვას ქორწილს  
თუ ასე კვდებიან პოეტები,  
სული გამექცევა ღამის აჩრდილიდან,  
ქარი აშარი და ბორია გაღეშილი.  
ვო, სერ, დამასიზმრე ჩემი არჩილი და  
ჩემი თვალკაპაბა მისი ქალიშვილი.  
მტერი მათრახის ქვეშ ატარა  
ლაჩაროვით,  
ციხე-სიმაგრენი რომელმან დააჩოქა,  
ქართლს რომ ჩამოახიეს ჩოხა,  
ქართლს რომ ჩამოახიეს ჩოხა,  
ქართლს რომ ჩამოახიეს ჩოხა,  
კოლხმა მოიკაზმა ლექსი აბჯარივით.  
შენა, სიმწერწევა ფანდურს ჩამომდერი,  
ლერწამ ტანიან და ქალწულ ნამიანო,  
წამო, თავშლიანო, სევანეთს წამომყვივი,  
იქა სათამაღო ვაჟნი არიანო.  
სანამ ზეცის მინდვრებს ლოყებს  
დავუკოცინო,  
მზე რომ დაადნება ზედა გამორთა მამაჯებს,  
მედვას კი არა, ჩვენსა ქორწილს  
მთათა ბერეკაცი სუფრას გვითამადავებს.  
მდურა გაისმის ცრემლითა მლაშე,  
დაიმსხვრა მცხეთა და გორის კარი,  
მიაცილებდნენ ბრძოლაში ვაჟებს,  
თავშლებს ატანდნენ ბრძოლაში ვაჟებს,  
თან აბარებდნენ ქალწულნი ვაჟებს,  
ან ხმლით სისხლისგან სხეული გაშრეს,  
ან თავი თავშალში მოიკალი.  
აი, შენც ნახე ეს ჩემი ქოხი,  
უჭერო ქოხი, დამბების ნვრევა,  
სანამ ოცნება არ ილევა,  
სანამ ტკივილი არ ილევა,  
სანამ ენგური არ ილევა,  
პარდებში რომ ჩქეფს კოლხის.  
ცაა გაშლილი მიჯნურის ხეგდრად,  
აკა სერ ხოლოთ დო ქუგმთანე,  
მივალ გერგეზის შესახვედრად,

ქალაგ თავშალი გამატანე!  
და ზეცის მინდვრებს ლოყებს  
დავუკოცინო,  
და ჯეგებს მთაზე ნამად მოვედები,  
იქაც ვითამადავ მედვას ქორწილს,  
ჩვენთან ასე კვდებიან პოეტები!  
\*\*\*  
უხამსი ფიქრებით ავიტან ალიონს,  
მაესტროს მორალი ყელში აქვს  
გაჩრილი,  
მინდა, რომ სიბილწემ აზრები არიოს,  
შურისგან დამავიწყდეს ბახუსის  
აჩრდილი.  
მიწიდან გამტყვერილს სიზმარი ამ-  
თრევს,  
რამდენი დარბაჯ არ უნდა დარაზონ.  
ყოველი ნაგავის მოწვევას ვამართლებ,  
ჩაპლინის იერით ლოტი რომ მთავაზობს.  
ინდიელ შამანის პაროდისტს მოგვაგვი,  
ცუდად რომ ასრულებს უსწავლელ  
რევერანსს,  
ოტკლო რომ ვიყო, სუფელიორს  
მოგვეავადო,  
სიცოცხლს რომ მიჩემებს ყოველ წუთს,  
ყოველ წამს.  
კბილებით ვიკავებ, ბუნწ სიტყვებს  
ვერვი,  
რაკინის ნაცვლად კი ვკითხულობ ყან-  
წელებს,  
რა გქნა თუ დააწყდა რეჟისორს  
ნერვები?!  
კლოუნი დაბოღმილ მონოლოგს  
აგრძელებს.  
ნერვები მოშლილი ვისა აქვს? არავის.  
უბრალოდ, ვერ ვიტან ვერლიბრის ა-  
ტორებს,  
უდრანში ვიპოვე ვისოცკის კარავი,  
უსაზღვრო ბოღმაში წამითაც არ  
მტოვებს.  
გამხდარი მაესტრო სცენაზე ავარდა,  
თეატრის კოლონებს მიჯნაზე დაამხოვს,  
მაესტრო, დამშვიდდით, სპექტაკლი  
ჩავარდა,  
მე ჩემი დაცემის ტრიუმფით ვამაყობ!

## სააკაშვილი: ზოგიერთი პოლიტიკოსი უხსო ქვეყნის ჯარაზის შემოსვლაზე ამყარებს იმედს

(თიან მართლას დიდი თვალაზი აქვს)

გრძნობს რა თავისი ზეობის დასრულების გარდაუვალობას, სააკაშვილი ცდილობს ყველა მისი წარუმატებლობა რუსებს გადააბრალოს, იქნება ეს ტურისტთა ნაკადის შემცირება თუ 100-დოლარისი პენსიის ჰაერში დაკიდებული შეპირება. ამას წინათ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყნის შიგნით არიან ძალები, რომლებიც უცხო ქვეყნის ჯარების თბილისში შემოსვლაზე ამყარებენ იმედს, მაგრამ მათ არაფერი გამოუვათ, რადგან საქართველოს ჰყავს უსაფრთხოების ეფექტური სამსახურები და ამას არც ქართველი ხალხი მიიღებს.

ეს განცხადება სააკაშვილმა 25 მარტს საკუთარ რეზიდენციაში იმ სამართალდამცველების დაჯილდოების ცერემონიაზე გააკეთა, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს შსს აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყოფილი უფროსის – დიმიტრი კორძაძის შარშან მომხდარი მკვლელობის გახსნაში. შს სამინისტრომ 22 მარტს განაცხადა, რომ მკვლელობა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების დაკვეთით განხორციელდა.

„ჩვენ ძალიან დიდ ბრძოლაში ვიმყოფებით, – მიმართა პრეზიდენტმა პოლიციის წარმომადგენლებს, – რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ქვეყნის გარეთ, არამედ ქვეყნის შიგნითაც არიან ცალკეული ადამიანები, მათ შორის, შეიძლება პოლიტიკოსობაზე ჰქონდეთ პრეტენზია, რომელთაც იმდენად აქვთ ხელი ჩაქნეული, რომ როდესმე მოიპოვებენ საკუთარი ხალხის მხარდაჭერას, რომ ერთი სული აქვთ, და თქვენ ჩემზე უკეთესად იცით, რომ ერთმანეთში მუდმივად საუბრობენ ამაზე – ახლა ერთადერთი, რაც გადაგვარჩენს, უცხო ქვეყნის ჯარის შემოსვლა თბილისში და ისინი თუ შეგვიქმნიან ჩვენ თანამდებობებს და უკეთეს ცხოვრებას.“

„მაგრამ ამ ხალხს არაფერი გამოუვა, ისევე, როგორც არაფერი გამოუვათ იმ ადამი-

ანებს, ვისაც თვალის უჭირავს ლალატზე და ვისთვისაც სამშობლო არაფერს ნიშნავს, იმდენად, რომ, ჯერ ერთი, ქართველი ხალხი ამას არასდროს მიიღებს, საქართველოს ჰყავს ეფექტური მთავრობა და ამ შემთხვევაში ეს არის მთავარი, რომ ჩვენ გვყავს ეფექტური უსაფრთხოების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სტრუქტურები, რომელთაც ისწავლეს მაღალ დონეზე დანაშაულის გახსნა, ქვეყანა გადააქციეს უსაფრთხო ადგილად მისი მაცხოვრებლებისთვის და ისწავლეს საკადრისი პასუხის გაცემა ყველანაირი უცხო აგრესიული ელემენტისადმი და მათი დამქაშებისათვის“, – განაცხადა მან.

საკაშვილის თქმით, ყველამ უნდა მიაგოს პატივი „ჩვენი პოლიციისა და ჩვენი შეიარაღებული ძალების“ წარმომადგენლებს, რადგან პერიოდულად მათ უხდებოდათ „ყველაზე მაღალი ფასის გადახდა საკუთარი სამშობლოსთვის – საკუთარი სიცოცხლის“. სააკაშვილმა პოლიციის მაღალჩინოსანი დიმიტრი კორძაძე სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.





# მეფე - პრეზიდენტი

დამფუძნებელმა მამებმა ისე გადაწყვიტეს, რომ დაარსების დღიდან ამერიკის შეერთებულ შტატებს პრეზიდენტები მართავდნენ. მმართველობის სხვა ფორმა ამ ქვეყანამ არ იცის. მას არც მონარქია გამოუცდია და არც საპარლამენტო წყობილება. როგორც წესი, ამერიკელები ზედმიწევნით იცნობენ თავიანთ პრეზიდენტებს და ამ თანამდებობაზე ექსპრომტად არაფერს ირჩევენ. მათ სჯერათ, რომ "მხოლოდ მოწვევამ აპოპტოზის პრინციპი" და ამდენად, ამა თუ იმ პიროვნების პრეზიდენტად არჩევა მოქალაქეთა უბრალო ნება-სურვილზე სულაც არ არის დამოკიდებული. ამას ვერ გარისკავენ და არჩევნებზე საერთო-საზოგადოებრივ ინტერესებს ვერ გაემიჯნებიან, გრძობად-სენტიმენტალურ მოტივაციას ცივ პრაგმატულ ანგარიშთან დაკავშირებულ ვერ დააყენებენ და "სუბიექტურ" არჩევანს ვერ გააკეთებენ.

დღეს, თავიანთი პრეზიდენტის არჩევანს ამერიკელები მთელი სერიოზულობით ეკიდებიან და ამაში არაფერია გასაკვირი. ისინი ხომ ჩვეულებრივი ყაიდის პრეზიდენტს კი არა, ამერიკული მესიანისმის დამამკვიდრებელ ნამდვილ მეფე-პრეზიდენტს ირჩევენ! სხვათა შორის, მრავალი ისტორიკოსი და სოციოლოგი სწორედ ამგვარად მოიხსენიებს შტატების მეთაურს. იგი მართლაც მეფური უფლებებითაა აღჭურვილი და მსოფლიოში ყველაზე ძლიერად მოქმედებს. მისი ავტორიტეტი უზარმაზარია, რომ პრეზიდენტი სახელმწიფოს კონსტიტუციურ მეთაურად აღიარებული, იგი არის მთავრობის უმაღლესი თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარსარდალიც, აქვს ნებისმიერ კანონპროექტზე ვეტოს დადების უფლება და სხვა მრავალი ისეთი პრივილეგია, რასაც დღესდღეობით მონარქებიც კი მოკლებულნი არიან ევროპულ სახელმწიფოებში.

მოკლედ, პრეზიდენტობა, როგორც კალვინ კულიჯი წერდა, - "რჩება უდიდეს პოლიტიკურ საიდუმლოებად მათთვისაც კი, ვინც თვითონ ყოფილა პრეზიდენტი... ეს თავად უნდა გამოსცადო; ამის გადმოცემა შეუძლებელია, სიტყვებით გამოსატო მისი ამოსვლის მთელი მშვენიერება და სიდიადე..."

და სწორედ ძალაუფლების ამ ფანტასტიკური "მშვენიერებისა და სიდიადის" გამო, როგორც ჯონ სტეინბეკი შენიშნავდა, "ჩვენ ვაძულებთ პრეზიდენტს, აკეთოს იმაზე მეტი, ვიდრე ერთ ადამიანს შეუძლია, ვაკისრებთ მას ერთ ადამიანზე აღმატებულ პასუხისმგებლობას, გამუდმებით ვახდენთ მასზე ზეწოლას და ვაძულებთ, იშრომოს

სულის ამოხდომამდე. ჩვენ ის ავირჩიეთ - ჩვენ უფლება გვაქვს, იგი გავანადგუროთ..."

ძალაუფლების მშვენიერებითა და სიდიადით საქართველოს მეფე-პრეზიდენტი თუ არ აღემატება, არც არაფრით ჩამოუვარდება შეერთებული შტატებისას. როგორც ჩანს, სახელმწიფოებრივი მშენებლობის ევროპული გამოცდილება ჩვენს მონარქისტულ გაქანებას უკვე ვეღარ აკმაყოფილებს და ამიტომ ქვეყნის მოწყობა მამა ჯეფერსონის ფუძემდებლური იდეების შესაბამისად გადაწყვიტეს. თავზე სუპერსახელმწიფოს ძლიერების დღეს იღებენ და ვადგენ, ქება შევასხით და მისი სახელი ცას მივავწვინეთ. მაგრამ ვერ იქნა და მეფე-პრეზიდენტს პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრეთ, შრომა ვერ გაიძულებთ და განადგურებასაც, მეონი, აქეთ გვიპირებს!.. ახლავა ვხვდებით, გამეფებისთანავე დაეთიანდნენ მისი სახელიდან რატომ მიიბრინა. ამ ფარისევლური თვალთმაქცობის ნამდვილ აზრს ნელ-ნელა სწვდება ქვეშემდგომი გულბრუნებით შეპყრობილი ჩვენი საზოგადოება, რომელიც თანდათან იწყებს თეთრისა და შავის გარჩევას.

ის, დიდი მეფე-აღმაშენებელი თავს ბიბლიური დაითის შთამომავლად და "მესიის მახვილად" მიიჩნევდა. იბრძოლა, იღვაწა, იშრომა, აღადგინა, აღაშენა, აღორძინა; მტერი შემუსრა, ქვეყანა გააერთიანა, განავრცო და განადიდა. ამიტომ ერმა და ბერმა აღმაშენებელი უწოდეს!

მაგრამ წუთისოვლად იმე ვაიდა, რომ ნამაგარზე სიტყვა არ დაუძრავს, სახელი და პატივი არ უთხოვია, დავაწლი და შრომა არავისთვის დაუქვედრებია, აკლდამა და მავზოლეუმში არ მოუთხოვია... პირიქით - თავი დაიმდაბლა და ეკლესიის კარიბჭესთან მოკრძალებით განსვენება ისურვა, "გალობანი სინანულისანი" დაწერა და თავი ყველა ამქვეყნიური სიბილწით დამძიმებულ ცოდვილად გამოაცხადა.

ეს კი, ჩვენი მეფე-პრეზიდენტი, ერთი ჭკუამიხარული ნაცარქექია; მთელი ახალგაზრდობა ცოდვილი უზურპატორის ფრთებქვეშ გაატარა (გაიხსენეთ თუნდაც "ბუნჩები" - "ილორი"); იცრუა, იორპირა, იცუღლუნა, თავზე ხელი აიღო და ეკლესია შემუსრა, მოხუცებს პატივი აჰქარა, უმწყო ადამიანებზე იმძლავრა, ქვეყანა ააოხრა და ააფორიაქა... და მაინც თავი ნამდვილ აღმაშენებლად მოაქვს და ყოველ ჯერზე არანახულ წარმატებათა შესახებ საუბრობს; ამყოფს, იბღინებდა, იფხორებდა და მუშტებს იქნებს; პატივსა და დიდებას მიეღობს, გამუდმებით ტაშს ითხოვს, ზეიმებს, ტრიუმფებსა და ფორიერვარებს ესწრაფვის.

სინამდვილე კი, ყველაფერი ეს, მეტად

მიიმე და პირქვეში სანახავია!

საქართველოს ისტორიის უახლესი წლები, საბედისწერო რეჟებიტა და ქარიშხლებით აღსავსე ეს მინიპოქა, იმედის უკანასკნელ ნაპერწკალს აქრობს ქართველთა გულეში. ყველანი ემიგრანტებად ვიქცეთ: ზოგი - უცხოეთში, ზოგიც - შინ, სამშობლოში... უპერსპექტივობის ტოტალურმა განცდამ მთელი საზოგადოების პარალიზება გამოიწვია.

თუ ერის, საზოგადოების განადგურება ვინმეს სწადია, უწინარეს ყოვლისა, მას სწორედ სულიერება, სულის მაცოცხლებელი წყარო უნდა დაუშრიტონ, უნდა წაართვან უნარი - იყოს აქტიური, იმედებითა და შემოქმედებითი იმპულსებით აღსავსე... ამ უნარის წინააღმდეგ გალაშქრება, მისი ხელყოფა და დათრგუნვა მიუტევებელი დანაშაულია.

არადა, სწორედ სულიერი ყოფის სფეროა ჩვენი ეროვნული ენერჯის ყველაზე შთამბეჭდავად გამოხატველი... მის უტკეხ ნაყოფს მუდამ ერთნაირი გატაცებითა და ერთუზიანებით ეწაფებოდა დიდი და პატარა. აქ კარგად იცოდნენ ხატოვნად ნათქვამი სიტყვის ფასი და გული უთრობდათ უმშვენიერეს პანთა აუღერებისას. როგორც არსად, ისე უყვარდათ პოეტი და როგორც არავის, ისე ეთაყვანებოდნენ შემოქმედ სულს, ხელოვანსა და ხელოვნებას. ძველ ელინთა მსგავსად, ქართველობაც მუდამ რაღაც პირვანდელი აღტაცებით შეიგრძნობდა მის ხიბლსა და იღუმაღუბას.

და რაოდენ გულსაკლავადაც უნდა ედერდეს, ჩვენი ისტორიის ბოლო ათწლეულებში ყველაზე საგალალო დარტყმა სწორედ ჩვენს სულიერ მდგრადობას მიაყენეს, რამაც თავისთავად მთელი ეროვნული ორგანიზმის რღვევა გამოიწვია. ამ დარტყმის მასშტაბები რომ შევიგრძნოთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს იმ ფასულობათა მნიშვნელობა, რაც ჩვენი სულიერების მარადიულ საფუძველს წარმოადგენს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ "ქართველი ერის სფეროში არ გამოვლენილა ისე ძალუმაღ, არც ერთ სფეროში ქართველი კაცი ისე ფორტოგრაფიული სიზუსტით არ იმეორებს თავის თავს, როგორც ხელოვნებაში - სულიერი მოქმედების სფეროში. საუკუნეთა მანძილზე ეს იყო ჩვენი ადათების, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა გადარჩენისა და შენახვის შეუშუსრელი საღარო. ციხე-სიმაგრე, რომელსაც დრომ ვერაფერი დააკლო" (გრ. რობაქიძე).

დღეს ამ ციხე-სიმაგრის დასამხობად ყველაზე ცინიკური და ადვირახსნილი ძალა იღესავს კბილებს. ეს ძალა აქვეა,

ჩვენ თვალწინ; დღეს იგი საქვეყნოდაა გამოტყეპული და თავლაფდასხმული, მაგრამ უკან არ იხევს, საგულდაგულოდ იხშობს ყურთასმენას, ხშირად ქირქილებს, ოხუნჯობს და ხანდახან ისე გულიანად ხარხარებს, კაცი იფიქრებს, რომ ეს ხალხი და ქვეყანა სრულიად უცხოა მისთვის. ერის წყლული, ასე თვალშისაცემად რომ მოჩანს ყოველი გადასახედიდან, თითქოს ოდნავდაც არ ეხებოდეს მას... პრეტენზიები და ამბიციები კი, იცოცხლეთ, უკიდვარო მასშტაბებისა გასწვნიან. საგალალო ნარცისიზმი, ძალაუფლების დაუოკებელი წყურვილი და გაუმაძღრობა მთლიანად სპობს მასში ადამიანურ მისწრაფებებს და აქცევს მას ჩვენში უკვე ცარიელი და შინაარსმოკლებული ცნების - "პოლიტიკოსის" კარიკატურულ ნირსახეობად.

"მეფეო, უფალი არ მოგითხავთ მეფურ მოვალეობათა აღსრულებას, ადამიანურ მოვალეობათა აღსრულებას მოგითხავთ", - მისწერა დიდმა ლეე ტოლსტოიმ იმპერატორს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ხელმწიფემ მრავალი რამ შეცვალა იმ სიტყვების გამო.

ცხადია, სახელმწიფოებრივი აზროვნების ენციკლოპედია ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ სწავლის მოსურნეს წინ ვერავინ დაუდგება, რათა ყურადღებით წაიკითხოს და "ხეპირად მოიწუართნოს" სიბრძნით აღსავსე შეგონებანი, სადაც საბას პირით მართლაც ჭეშმარიტება დადებებს თავის უეჭველობას!

- "მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: - სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

- მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზაგსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა ყოველთასა.

- მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: საესესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლელობასა და მალე შეუბუღებლობასა..."

ყოველივე ამას უპოვარ მეფეთაგან ითხოვდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს კი გაცილებით მეტად მოკითხავენ ყოვლის-შემძლე მეფე-პრეზიდენტს, რომელიც თავისი თავისთვის დაუსრულებელი დღესასწაულების მოწყობით ისეა გატაცებული, რომ ვეღარც "უქრთამო სამართალი" დაუმკვიდრებია, ვერც "დიდი სიყვარული", ვერც "ზაგი მართებული", ვერც "სიმართლე უზაკველი", ვერც "სიუხვე ყოველთა" და, რაღა თქმა უნდა, ვეღარც "ჯამაგირთა მოუკლებლობა"...

აი, ასე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეფეები და მეფე-პრეზიდენტები!

თამაშ მორიმი, ჟურნალ "ისტორიული მემკვიდრეობის" მთავარი რედაქტორი

# როგორ გასხვიოს და აფხაზეთი

გთავაზობთ ნაწევრებს ბატონ ნაპოლეონ მესხიას ამავე სახელწოდების წიგნიდან

ჩრდილოეთკავკასიელმა მიბრძანა: "А ну, вперед!" და ავტომობილს ღულა შუბივით მომაბჯინა ზურგში - სახლის უკან მდებარე თხილნარისაკენ მიბიძგა. დაახლოებით ოციოდე ნაბიჯი რომ გადავდგი, თავში გამოიღვა: "თუ მომკლავენ, ჯობია წინიდან მესროლონ, ზურგში არ მომხვდეს ტყეპი. იფიქრებენ: რომ გვიქეცი და მესროლეს გატყეულს" ამიტომ შეწერდა და სწრაფად შემოვტრიალდი, დავდექი მის პირსპირ. ამასობაში მორბის ისევ ის ახალგაზრდა აფხაზი, სილა რომ გამაწნა და ეუბნება იმ ადიდელს თუ ჩემენს: "Слушай, подожди, не надо! Он хороший депутат, он врач. Он спас моего брата". ჩრდილოკავკასიელმა მიუგო: "Если он хороший депутат, почему он здесь, а не с Ардзынба или не с Шанибовым" და ისევ მიბრძანა "Вперед!" ამ დროს იმ ახალგაზრდამ ავტომობილზე ხელი აუკრა და მის წინ ჩამოხვდა "Слушай, подари мне его жизнь, я тебя прошу." ეს იყო და ჩრდილოკავკასიელი შეწერდა: "Ну ладно?" - გაბზარული ხმით თქვა მან. მოვბრუნდი უკან (ეს ახლავა სათქმელად ადვილი: "მოვბრუნდი უკან". არ ვარ მშიშარა კაცი, თუმცა ის რამდენიმე წამი თუ წუთი იყო ხანგრძლივი მივლინება ჯოჯოხეთში).

ყველანი აივანზე ჩამოვსხვდით.

სადილობის დრო დამდგარიყო და მათ მიხვლამდე სუფრა უკვე გაეშალათ. სხვა გამოსავალი არ გვქონდა, ერთად გავტყხეთ პური. ჩემს ვაღიას არაფერი ქონია შემონახული. როგორც მასპინძელმა, ავიღე ჭიქა, მაგრამ არ ვიცოდი რა მეთქვა, ოღნავ შევყოყმანდი. ჩრდილოეთ-კავკასიელმა კბილებს შორის ავად გამოსცრა "Став на стол, здесь ты не хозяин. Это Адыгская земля".

- "Нет, здесь он хозяин, это не Адыгская, это их земля". - მტკიცე ხმით უთხრა იმ ახალგაზრდა აფხაზმა, რომელმაც საიქიოდან გამომაბრუნა.

ჩემად ვიჯექი, ისინი ხორხორდებდნენ... მალევე შესამჩნევად გამოთვრნენ და წინა კარებიდან გავიდნენ.

მე აღვიღე დავრნი. ახალგაზრდა აფხაზი შეყოვნდა, მოვიდა ჩემთან, მუხლებზე დადგა ჩემს წინ და შემევედრა: "Отец, извини меня, я оскорбил Вас, но не мог по другому. Иначе он убил бы Вас". მივხვდი, რაშიც იყო საქმე, იდგა ჩემს წინ მუხლებზე თავჩაქინდრული და არ იბეროდა - თითქოს ელოდა, როდის მივიღებდი ბოდიშს, ან ვეტყოდა რამეს.

- "Кто ты и когда я спас твоего брата?!" - შევეკითხე მას.

- "Нет, из моих вы никого не оперировали. Это я выдумал, чтобы спасти Вас" - თქვა

მან. მითხრა, ვინც იყო, მაგრამ იმდენად გაოგნებული ვიყავი, გადამავიწყდა მისი გვერი. მახსოვს მხოლოდ, რომ გულდაუთელი იყო და სლავიკი ერქვა სახელად. ომის შემდეგ ბევრი ვეძიე, მაგრამ ვერ მივაკვლიე. გულდაუთაში შეეშინდა იმის აღიარება, რომ ოტობაიაში ქართველი იხსნა.

აი ასე, ჩემთვის სრულიად უცნობმა გულდაუთელმა ახალგაზრდამ, ვინმე სლავიკმა მიხსნა სიკვდილისაგან. ალბათ, იმის ფასად, რომ თავის დროზე, მეც ბევრი მოხსნია განსაცდელის უამს.

ყველას ჩამოთვლა არცაა საჭირო. ერთ-ორ ასეთ სახასიათო შემთხვევას გაეცხენებ:

გაცხარებული ომის დროს, ჩემთან მოვიდა დეპუტატი დავით ფილია და მითხრა, რომ დეპუტატი ოლვე დამენიას ძმა მხედრი-

ონელების მიერაა დატყვევებული. მხედრიონელების შტაბი რესპუბლიკური სამხედრო კომისარიატის შენობაში იყო განთავსებული. დავით ფილიასა და ჯემალ გამახარიასთან ერთად მივედი მხედრიონელებთან და ვთხოვე ტყვედ ჩავარდნილი დამენიასა და მისი მეგობრების განთავისუფლება. თურმე, ისინი, სხვებთან ერთად, იქვე სარდაფში ჰყოლიათ გამოშვადეული. როცა შემოიყვანეს, მათ სახე არ ჰქონდათ, თვალები გადმოუყარათ, საშინლად ნაცემ-ნაწამები იყვნენ. დავგინახეს თუ არა, იმედი მივეცა. ავიყვანეთ ისინი, ჩავისვით მანქანაში და ტრაპეციის იქით, სადაც 10 კილომეტრში, საკუთარი სახლის წინ ჩამოვსვით. შემდგომში შევიტყვევებ, რომ დამენიას ძმა ისევ აუვანიათ მხედრიონელებს და დაუხვრიტავთ;







კონფლიქტიდან გამოსასვლელად მთავარი არა ავბიციზის, რომლებსაც კავკასიაში უხვად გვაქვს, არამედ ურთიერთობის შენარჩუნება!

(ინტერვიუ საქინფორმის მთავარ რედაქტორ ა. ხიდიბრეგიშვილთან სოჭში რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრის თაობაზე)

ბატონო არნო, 2011 წლის 5 მარტს ქალაქ სოჭში გამართულ შეხვედრაზე კონფლიქტის მონაწილე მხარეები ტყვეების გაცვლასა და საკითხების მშვიდობიანად გადაწყვეტაზე შეთანხმდნენ. სინამდვილეში კი მოლაპარაკებათა პროცესში არანაირი ხელშეწყობები ძვრები არ შეინიშნება. ახლაც რას უნდა ველოდეთ?..

უპირველესად, თავად კითხვის ფორმულირებაში ვხედავ გარკვეულ წინადადებებს: როგორ თუ ძვრები არ შეინიშნება?! თქვენი კითხვის პირველ წინადადებაში უკვე დაფიქსირებულია ძვრა - ტყვეთა გაცვლის პროცედურის განხორციელება უკვე ურთიერთდობის დასაფუძვლების განხორციელების კონკურენტული საგანია: დღეს ტყვეების გაცვლაზე მოილაპარაკებენ, ხვალ - ჯარების ურთიერთშეხების ხაზის გასწვრივ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის აღკვეთის პრევენციულ ზომებზე, შემდეგ კი, თანდათანობით მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებაზე, ლტოლვილთა დაბრუნებისა და ამ პროცესის გარანტირების, დემოკრატიზაციისა და მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსის განსაზღვრის საკითხამდე მივლენ.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ ძვრები არის, მოლაპარაკებათა პროცესს შემტყუარ რეალური კონკრეტული, მით უფრო, რომ ჩვენთვის უცნობია სამი პრეზიდენტის საუბრის ყველა დეტალი - ყველაზე მნიშვნელოვანი ხშირად „დადრს“ მიღმა რჩება...

მიიზარება, რომ რუსეთი, როგორც დე ფაქტო უმთავრესი შუამავალი, სინამდვილეში სტატუს-კვოს შენარჩუნებითა და ინტერესებულის თქვენც ასე ხომ არ ფიქრობთ?

დიახ, მაქვს განცდა, რომ რუსეთი დაინტერესებულია არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებით და მას ამის შემდეგაც შეინარჩუნებს. შემიძლია დავაზუსტო კიდევ, რა ობიექტური მიზეზების გამო ჩამომიყალიბდა ეს სუბიექტური განცდა.

მაშ ასე: თუკი რუსეთს განვიხილავთ, თქვენივე შეფასებით, როგორც დე ფაქტო ძირითად შუამავალს, საგულისხმოს, რომ ბოლო 20 წელია, ის დაუბრუნებელი იმერებს კატა ლეოპოლდის ფრანს ცნობილი მულტიფლიმიდან: „ბიჭუბო, მოდი, მეგობრულად ვიცხოვროთ!“ მერედა, რა? - არც არაფერი! უფრო სწორად, მიუღი ამ წლებში განმავლობაში, სულ მცირე, თუნდაც მყოფე, მაგრამ არის მშვიდობა შენარჩუნებული! მაშასადამე, რუსეთი, ისევე, როგორც ეუთოს მინსკის ჯგუფი, არსებულ გამოუვალ სიტუაციაში სტატუს-კვოს, ანუ მშვიდობის შენარჩუნებითა და ინტერესებულის, რადგან საბრძოლო მოქმედების განუახლებლობა, სულ მცირე, მშვიდობას ინარჩუნებს! „უხვირო მშვიდობა კი სასიკეთო ჩხუბს სჯობს“...

ხოლო თუ თქვენ სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე ლაპარაკისას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხში რუსეთის ფაქტობრივი უმთავრესი მხარე იქნება, მაშინ, როგორც პრაქტიკა მოწმობს, კონფლიქტურ სიტუაციას არა შუამავლები (თითქმის მთავარი შუამავალიც კი), არამედ კონფლიქტის მხარეები ჭრიან, ხოლო შუამავლები უბრალოდ შუამავლობენ, პროცესს ხელს უწყობენ და გარკვეულ დონეზე გადასვლის შემდეგ მისი გარანტორები ხდებიან.

თუმცა, ვერაფრით დავთანხმდები რფ-ის, როგორც დე ფაქტო უმთავრესი შუამავლის ფორმულირებას: შესაძლოა, ამჟამად რუსეთი ყველაზე აქტიური შუამავალია, მაგრამ დე ფაქტო და დე იურე შუამავალს ეუთოს მინსკის ჯგუფი წარმოადგენს, სადაც, რფ-ის გარდა, როგორც იცით, აშშ და საფრანგეთიცაა წარმოდგენილი, რომლებიც, ასევე, დიდ აქტიურობას იჩენდნენ.

და მაინც, სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფორმულირება შემთხვევით არ გამოიყენება. შესაბამისად, მეზობლებს კითხვა: ვინ და რისთვის მიანიჭა რფ-ს უმთავრესი შუამავლის სტატუსი? და თავად რფ-ს უპასუხებ: მან, ვისთვისაც ხელსაყრელია რუსეთის დადანიშნულება სომხეთის ხელშეწყობაში, რათა შემდეგ როგორღაც აუხსნას აზერბაიჯანულ ხალხს - რატომ აღმოჩნდა ბოლო 20 წლის განმავლობაში მათი „ძალისხმევა“ უშედეგო (შუამავალი, რომელიც რომელიმე მხარეს მეტად ემხრობა, ცუდი შუამავალია...), საფრანგეთისა და აშშ-ის დადანიშნულება სომხეთის აშკარა მხარდაჭერაში ხელსაყრელი არაა ბევრი გასაკვირი მიზეზით (ამისთვის

არგუმენტაციაც არასაკმარისია), ამიტომაც „საუკეთესო“ გამოხატვის რუსეთის, როგორც უმთავრესი შუამავლის, დადანიშნულება! დავაჯამებ:

ვერსია №1 - რუსეთისთვის ხელსაყრელია სტატუს-კვოს შენარჩუნება კონფლიქტის ზონაში, რათა არ დაუშვას კიდევ ერთი კონფლიქტის განახლება კავკასიაში;

ვერსია №2 - რუსეთისთვის ხელსაყრელი არაა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში სტატუს-კვოს შენარჩუნება, თუმცა ამას აკეთებს შემდგომი საკუთარი ფართო ინტერესებიდან გამომდინარე.

განვმარტავ: გამორიცხული არ არის, რომ მსოფლიოში გარკვეული ვითარების შექმნის შემთხვევაში (სახელმწიფოთა პარტნიორობა ახლო აღმოსავლეთის პრობლემების, ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების, ეკონომიკური სანქციების ერთობლივი მიღების საკითხებში, სხვადასხვა საფრთხის წინააღმდეგ - იქნება ეს ბირთვული იარაღი, ნარკოტრაფიკი თუ საერთაშორისო ტერორიზმი - ერთობლივი ბრძოლის პერსპექტივის კონტექსტში) რუსეთი ამ სტატუს-კვოს სასწორის პინაზე დამატებით შემოდებს გაცილებით გლობალური (ვიტეო-დოკონტინენტული) ახალი მსოფლიო წესრიგის პრობლემათა გადაჭრისას და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე სხვა პრობლემებთან კომპლექსურად გადაწყვეტა.

ბატონო არნო, ხალხს არ შეუძლია მუდამ ახალი კონფლიქტის შიშში ყოფნა, რომლის ზონაშიც პერმანენტულად ისერიან - თითქმის ყოველდღე პოლიტიკა პოლიტიკაა, თუმცა, არსებობს ადამიანთა ფაქტორიც, ლტოლვილები, ბოლოს და ბოლოს... თუ რფ-ს არ შეუძლია ან არ სურს კონფლიქტის მხარეებზე ზეწოლა იმისათვის, რომ ამ უკანასკნელებმა თავიანთი დესტრუქციული პოლიტიკა შეცვალონ, ეგებ დიდდეს შუამავლის შეცვლაზე ფიქრი? ფიქრი ითქმის აშშ-სა და საფრანგეთზეც, რომლებიც ამ ბოლო ხანს საკმაოდ პასიურობენ! ამაზე რას ფიქრობთ?

სანამ გიპასუხებდეთ, მინდა, კითხვა დავაზუსტო: როგორც მიგხვდია, აქ საუბარია „ძირითადი შუამავლის“ შეცვლაზე კონფლიქტში. ეს კითხვა, არსობრივად, წინა შეკითხვიდან გამომდინარეობს, მაგრამ მასში რევიზიას ექვემდებარება თქვენ მიერ წინა კითხვაში გამოთქმული პიპოთეზა იმის თაობაზე, რომ რუსეთი დაინტერესებულია არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებით (ერგო - არ სურს ვინმეზე „ზეწოლა“). ახლა კი, მორიგი შეკითხვის დასმისას, უკვე უშუალოდ ახრს, რომ რუსეთს არ შეუძლია („პასიური“ საფრანგეთისა და აშშ-ს (გადასვლა) მხარეებზე ზეწოლა (განსხვავება „არ სურს“ და „არ შეუძლია“-ს შორის კი ძალზე დიდია).

მიზეზები, რომელთა გამოც რუსეთს „არ შეუძლია“, როგორც მიგხვდია, ახლა არ განიტყვებთ და თქვენი შეკითხვის არსია „რუსეთის, როგორც მთავარი შუამავლის შეცვლა, რაკიდა ის ვერ გაუმკლავდა ნაქისრ ვალდებულებებს“.

გიპასუხებთ: არ მიმაჩნია, რომ შუამავალია შეცვლა საჭირო, მაგრამ რაკიდა ახრად მოვიდეთ - კეთილი, მოდი, პიპოთეზურად შევეცვალოთ ისინი! მაშ ასე: რაკიდა „მინსკის ჯგუფი“ არ შეუძლია, მაშინ „პოტენციური“ შუამავალი უნდა მოგვძებნოთ. განსაკუთრებული არჩევანი მხარეებს არც გააჩნიათ - მსოფლიო მოთამაშეების (რფ, აშშ, ევროპა) უსივლელეყოფისას შუამავლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ისეთი დიდი რეგიონული მოთამაშე, როგორც თურქეთია, რაც, სხვათა შორის, შეესაბამება აზერბაიჯანული მხარის დიპლმასიწინანდელ დაუფარავ სურვილს. ეს თურქეთსაც სურს. უფრო მეტიც - არცთუ დიდი ხნის წინათ მას მართლაც შეეძლო შუამავლად ქვეყლიყო, მაგრამ ამას ხელი შეუშალა... აზერბაიჯანმა!

განვმარტავ: თუ მხარეს შორის შუამავლობის გასაწყვეად საჭიროა, სულ მცირე, ორივესთან დიპლომატიური ურთიერთობების ქონა. და აი, როცა ამერიკის დიდი ძალისხმევით შემდეგ (ამის დათქმვა უსამართლობა იქნებოდა!) - მოჯალბოებულ სამკუთხედში - „თურქეთი-აზერბაიჯანი-სომხეთი“ - აშშ-ის სახელმწიფო მივიწის ქროლვინსა და მიუღი ამ „საფეხბურთო“ დიპლომატიის შედეგად - ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის რატიფიკაციის შემდგომაც დიპლომატიური ურთიერთობები თურქეთსა და სომხეთს შორის, თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნა, ხელმძღვრ ქვეყანათა ეკონომიკური თანამშრომლობა რეალობად იქცეოდა და თურქეთი ავტომატურად ხდებოდა მთავარი შუამავალი კონფლიქტში, აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტაზე ეს პროცესი „მიიბა“, ანუ - „დიპურთიერთობები ან ჩემს გვაშე გადავლით, ან ყარაბაღის საკითხის გადაჭრით!“ ვაზუსტებ: აზერბაიჯანს, ერთი მხრივ, სურს

თურქეთის შუამავლად ხილვა, მაგრამ ეწინააღმდეგება თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, რის გარეშეც მისი შუამავლობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შეუძლებელია. „ჯერ გაიყვანეთ სომხეთის ჯარები ყარაბაღიდან, შემდეგ აღვადგინოთ დიპურთიერთობები!“ - ასეთია აზერბაიჯანის მხარის პოზიცია. ნება მიბოძეთ, ვითხოვ: თუ ყარაბაღის საკითხი გადაიჭრება, რაღა საჭირო იქნება შუამავლები?! თუკი სომხეთი და აზერბაიჯანი განხეთქილების ერთდერთ საკითხზე შეთანხმდებიან (სომხების გენოციდის აღიარება განხეთქილების საგანს არ წარმოადგენს), შუამავალი რაღაში სჭირდებათ?!

და აი, თურქეთის მეჯლისმა აზერბაიჯანის მილიტერული თანადგომის გამოუცხადა და ეს „მიბმა“ გააკეთა, რის შედეგადაც კონსტრუქციული პროცესის ნაცვლად (საზღვრის, სარკინიგზო მიმოსვლის გახსნა, სომხეთსა და თურქეთს შორის ბიზნესსაქმიანობის განახლება), აშშ-ის ძალისხმევა წყალში ჩაიყარა და თურქეთმა შუამავლობის კანდიდატად ყოფნა შეწყვიტა...

სწორად გამოგეთ - არც ერთი ვეროველი ან ამერიკელი, როგორც კარგიც უნდა იყოს და როგორც უნდა სურდეს ჩვენი დახმარება, ჩვენზე, კავკასიელებზე, უკეთ არ იცნობს აღმოსავლეთს: მწარე ქართული გამოცდილებით ვიცით, რომ კონფლიქტური სიტუაციიდან თავის დასაღწევად მთავარია არა ამბიციები, რომლებიც კავკასიელებს უხვად გვაქვს, არამედ ურთიერთობის პროცესი! „მიდინარეს ვერ გადალახავთ, თუ შიგ არ შეხვედით!“ - პოდა, ურთიერთობის პროცესი, რომელიც შეიძლება და წყვეტილიყო, მაგრამ არ დაიწყო, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, სწორედ იმ „მიდინარეში“ შესვლა“ იყო...

რატომ მარტო თურქეთი? განა საქართველოს - სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკიდან ერთს - არ შეუძლია ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საქმეში მთავარი შუამავალი გახდეს?

წინა კითხვის პასუხში, მწარე ქართული გამოცდილების სხეულისას, მე, პრაქტიკულად, უკვე ვუპასუხე თქვენს ახალ შეკითხვას: საქართველო ვერც მთავარი და ვერც ვერ-ანაირი შუამავალი ვერ გახდება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რადგან დღეს თვითონ, ერთი კი არა, ორი ასეთი კონფლიქტი აქვს! თუმცა საგუბოთ შეუძლია შუამავლობის გაწევა მას შემდეგ, რაც თავის ტერიტორიულ თუ სხვა პრობლემებს გადაჭრის, რთაც დაამტკიცებს, რომ შუამავლის როლისთვის გამომდგება.

დიახ, საქართველო დიპლომატიური ურთიერთობები აქვს აზერბაიჯანთანაც და სომხეთთანაც, დიახ, საქართველო მრავალფეროვანი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის ერთ მეოთხედს ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები შეადგენენ, მაგრამ საქართველოს არ შესწევს ძალა და უნარი, საკუთარი კონფლიქტები გადაწყვიტოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მაშ, როგორღა იქნება გარანტორი ან მედიატორ/მოდერატორი სხვის, თუნდაც, მეზობლების კონფლიქტში?! არა, ჩვენი გამოცდილება მათთვის მაგალითი არ არის, უფრო სწორად - უარყოფითი მაგალითია...

და კიდევ: საქართველოს არათუ დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს ეუთოს მინსკის ჯგუფის ერთ-ერთ თანათავმჯდომარესთან - რუსეთთან, არამედ, ამავე დროს, პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, რფ-თან ომის მდგომარეობაში იმყოფება! მინსკის ფორმატზე კი ჯერ არც აზერბაიჯანს და არც სომხეთს უარი არ უთქვამთ... ამიტომ პრინციპი მარტოვია: ვინც იცის და შეუძლია, თვითონ აკეთებს; ვინც იცის, მაგრამ უნარი არ შესწევს, სხვებს ასწავლის; ხოლო ვინც არ იცის და არც უნარი შესწევს, ასწავლის, როგორ ასწავლონ.

რამდენად სავარაუდოა დღეს ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრის საომარი სცენარი, ბატონო არნო?

სავსებით სავარაუდოა, თანაც, ნებისმიერ დროს. აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა - პეიდარ და ილჰამ ალიევიებმა ბევრჯერ შეაკავეს სიტუაცია ახალი ომის მიჯნაზე გამომდებით მხარდი რადიკალური ოპოზიციისა (გენერლებისა და პოლიტიკოსების ტანდემი) და სამხედრო გადატრიალებათა მცდელობების დათრუნებით, თუმცა ეს წლიდან წლამდე უფრო ძნელია. მითუფრო, რომ აზერბაიჯანის სამხედრო ძლიერება მრავალჯერ გაიზარდა. თუმცა ყარაბაღის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის სამხედრო რესურსს ახლაც არ აქვს.

ჯერ ერთი: სომხეთი მთელი ამ 20 წლის განმავლობაში „გულხელდაკრფილი“ არ მჯდარა და თვითონაც გაზარდა თავისი სავსებით ბრძოლისუნარიანი არმიის რიცხვობა, განსაკუთრებით კი - ყარაბაღის,

რომლის ბრძოლისუნარიანობას ბაქოც კი არ უარყოფს;

მეორეც: არ უნდა დავივიწყოთ სომხეთის საზღვარგარეთული დიასპორაც - მოხალისეთა 5 თუ 6 ბატალიონი, კონფლიქტის გაღვივების შემთხვევაში, რეალურად შეიძლება ჩამოვიდეს აშშ-დან (ინტერნეტში მოხალისეთა რიცხოვნობის 250.000-იან მანქნებულსაც შეხვდებით), ბევრი მზადაა, სერბეთიდანაც ჩამოვიდეს;

მესამეც: თუ პაერში უპირატესობას არ ფლობ, ომს ვერ მოიგებ. აზერბაიჯანს საფრთხი ავიაცია ჰყავს, ანუ უპირატესობა აქვს პაერში, თუმცა სომხეთი, რომელსაც არ ძალუფს, პაერში აზერბაიჯანის ბატონობას სიმეტრიულად უპასუხოს, პასუხობს პაერ-საწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების მაქსიმალური ზრდით;

მეოთხეც: მთიანი ლანდშაფტის ფაქტორი - დაბლობზე ახალშეძენილი ტექნიკა წინ წავა, მაგრამ როგორც კი მთებს მიადგება, აზერბაიჯანის არმია სირთულეებს წააწყდება. შედეგად - უმიხრო დაუსრულებელი დაბომბვები, ორივე მხარეს კუბოები, არც გამარჯვება - არც დამარცხება... და იქ „გამშველენ ბლადაც“ არავინ შევა - არც რუსეთი და, მეტადრე, არც აშშ, რომელიც ერავისა და ავღანეთის შემდეგ ლიბიაში შესვლასაც ჯერ ვერ ბედავს, მიუხედავად ლიბიის არმიის სრული ბრძოლისუნარიანობისა (როგორც სასაცილოდ ეყრბობიან ლიბიელები იარაღს, ამ დღეებში ტელევიზიით ვიხილოთ).

მეხუთეც: გაზისა და ნავთობსადენები, რომლებიც აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით მიემართება, რუკაზე დახედვისას ხედავ, რომ ბაქოდან თბილისამდე ისინი პარალელურად და თითქმის გვერდიგვერდ გადის და საბრძოლო მოქმედებების შემთხვევაში, დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება. აშკარაა, რომ უგაზოდ დარჩენილი საქართველო, სხვადასხვა გზით (ლოგისტიკური დერეფნის გახსნათაც კი) კონფლიქტში ჩათრული აღმოჩნდება.

შემიძლია ამ სამწუხარო სურათის ხატვა განვარდო, მაგრამ ბატალიონი არ ვარ, პუბლიცისტი და ჟურნალისტი ვარ, ამიტომ დავასრულებ და კონსტრუქციას მოვახდენ - დიახ, საბრძოლო მოქმედებები სავსებით სავარაუდოა, რაც მორიგი სისხლისღვრის შეწყვეტის შემდეგ კიდევ 20-წლიან „აუზას“ გამოიწვევს.

უნდა ველოდოთ თუ არა მოლაპარაკებათა პროცესს რაიმე ძვრებს უახლოეს ხანში?

დიახ, ძვრები იქნება, თანაც, მუდმივად, თუმცა, როგორც ჩვენი საუბრის დასაწყისშივე ვთქვი, განსაკუთრებულ ძვრებს, მითუფრო აშკარა ცვლილებებს მოლაპარაკებათა პროცესში, არ უნდა ველოდოთ. რაც შეეხება უახლოეს მომავალს - ვფიქრობ, ჯერჯერობით იგივე სტატუს-კვო შენარჩუნდება, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში: არც მშვიდობა, და არც ომი.

რამდენად სავარაუდოა, რომ მოვლენები, რომლებსაც დღეს თვალყურს ვადევნებთ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სომხეთსა და აზერბაიჯანს - არასტაბილური პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური სიტუაციების მქონე ქვეყნებსაც - გადავლოს?

რაც შეეხება მართლმადიდებლურ სომხეთს, რომელიც ეკონომიკურ ჩიხშია, არ მგონია, ეს მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, არ მგონია, სავარაუდო იყოს, პირდაპირ ხე-გავლენას ხომ ადგილი არ აქვს, თანაც, იქ რუსეთის სამხედრო ბაზა... სომხეთში არსებული სიტუაციაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დიდად არ განსხვავდება კავკასიის ორ დანარჩენ ქვეყანაში არსებული ვითარებისგან. შესაძლოა, აზერბაიჯანში, სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ის ოდნავ უკეთესი იყოს.

სხვა საკითხია ცვლილებები მსოფლიოში, როცა ძველი მენტალიტეტი წარსულს ნაბრძნობა და ახალი წესრიგი დამყარდება. აი, ამასთან დაკავშირებით საპროტესტო მიტინგები ერევანში, იქ დარჩენილი ერთდერთი ოპოზიციური ლიდერის - ექს-პრეზიდენტ-დისიდენტის - ლევონ ტერ-პეტროსიანის ხელმძღვანელობით, სავსებით შესაძლებელი და სავარაუდოა, თუმცა ისინი მცირერიცხოვანი (10-დან 30 ათასამდე), ხანმოკლე (ერთი-ორი დღე) და, მოლიანობაში, უშედეგო იქნება.

რაც შეეხება მოვლენების გავრცელებას ისლამური აღმოსავლეთიდან ისლამურ აზერბაიჯანში, ამ ბოლო დღეებში დაწვეული საპროტესტო გამოსვლების გათვალისწინებით, სერიოზულად დასაფიქრებელია... თუმცა ეს ცალკე და საუფიქლოვანი საუბრის თემაა.

გმადლობთ! ესაუბრა ლეონ სულაშვილი



### ხალხის წინააღმდეგ გათყვანებული არმიის, უწინააღმდეგო, დიქტატორს უნდა ეპინოღეს

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე, რომელიც ამჟამად I ვერო-კავკასიური უნივერსიტეტის პრორექტორი და სრული პროფესორია.

18 თებერვალს უშიშროების საბჭოს წევრებთან ოპერატიულ თათბირზე, რომელზეც სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების საკითხი განიხილებოდა, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საქართველოს მხრიდან მოსალოდნელ პრობლემებზე ილაპარაკა, რაც "მოთხოვნის განსაკუთრებულ ყურადღებას საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამართალდამცავი ორგანოებისა და ძალოვანი სტრუქტურების ხაზით... ნებისმიერი პროვოკაციის გზაზე სათანადო წინააღმდეგობა უნდა აღიმართოს". ანალიტიკოსებს მიანიათ, რომ ეს არის, უკეთეს შემთხვევაში, ბოლო გაფრთხილება.

- ბატონო დავით, რამდენად "შეფერება სიმართლეს" მტკიცება, თითქოს ქართული ჯარის ჩამოყალიბება 2003 წლის შემდეგ დაიწყო?

- ჯარის ჩამოყალიბება დაიწყო 1990 წლის ბოლოს - იმდროინდელი გვარდიის ბაზაზე იქმნებოდა გარკვეული სამხედრო ნაწილები. არმიის შექმნა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც, შეიძლება, ახლაც გრძელდება, წლები სჭირდება, საუკუნეები თუ არა. ერთი თაობის საქმე არ არის ეს. შეიარაღებული ძალები, რომლებიც დღეს რეალურ არმიებად წარმოგვიდგება, ხელეწიფება გარკვეული ნიშების შეცვლა, სულ ცოტა, 300 წელიწადია, ახპარეზზე არიან გამოსული. მარცხიც კონიათ, წარმატებაც. ვეროპაში ერთ-ერთი უძველესი არმია თურქეთის არმიაა - 600 წელს ითვლის იგი. მოკლედ, თანამედროვე ქართული არმიის შექმნა დაიწყო პრეზიდენტ გამსახურდიას დროს. ჩემი მინისტრობის პერიოდში უბრალოდ გაიხსნა კარი საქართველოს დახმარებისთვის: 17-18 ქვეყანასთან გვქონდა ურთიერთობა.

- ამდენთან?  
- კი. საგნობრივი ურთიერთობა გვქონდა.  
- რამდენად ძლიერი არმია გვყავს ჩვენ დღეს, ბატონო დავით?

- აქ სხვანაირად დავსვამდი საკითხს. არ არსებობს დღეს არმია, რომელსაც შეეძლება მარტომ გასწიოს წინააღმდეგობა. არმია არის ინსტრუმენტი, რომელიც გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად არსებობს. მცირეა არმია, მცირეა მისი გადასაწყვეტი ამოცანებიც.

ამ შემთხვევაში ქვეყნის მზაობა იგულისხმება. თუ ქვეყანა არ არის მზად ეკონომიკურად, ადამიანური რესურსებით და ასე შემდეგ, რაგინდ კარგი არმია ჰყავდეს, თუ ეს ნორმა მოშლილია, ანუ არ არის ხელისუფლების ნება, ხალხის ნება, არ შეეგუოს ინტერვენციას, პლიუს ეკონომიკური რესურსი, მაშინ წინააღმდეგობის გაწევაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ამ სამ კომპონენტთან ერთად უნდა იყოს მუდმივი მოწოდება. მაგრამ ეკონომიკური რესურსები საქართველოში რეალურად შეზღუდულია. ავიღოთ თუნდაც იარაღი, რომელსაც აქვს ერთი თვისება - ცვლება. საქართველოში კი არ გვაქვს იარაღის წარმოება.

- მოწოდებაც შეგვიზღუდეს.  
- საერთაშორისო ურთიერთობებში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომლის მიხედვით, ყველა თავს იკავებს კონფლიქტური რეგიონებისთვის იარაღის მიწოდებისგან, რათა ბიძგი არ მიეცეს კონფლიქტების ან განახლება, ან გამაფრებას. ეს ბუნებრივი და ლოგიკური პოზიციაა. დღეს სწორედ ასეთ პირობებში ვიმყოფებით.

- თქვენ ბრძანეთ, რომ გზა გაგვეხსნა საერთაშორისო დონის ბიძგებში მონაწილეობისკენ. ემონაწილეობით ვეროპის ქვეყნების სამშვიდობო მისიებში, სადაც პრინციპულად დიდი პრობლემები არ ყოფილა. მაგრამ ავღანეთი, ბატონო დავით? დანაკარგები, რომელთაც იქ განვიცდით, არის ადევნატური იმ დანაკარგების, რასაც ამერიკა გვიწევს?

- ამ პრობლემასთან უშუალო შეხება არ მაქვს. მაგრამ ისე ჩანს, რომ წინასწარი წვრთნის პროცესი, რომელიც ფოკუსირებული იყო სამშვიდობო მისიაზე, შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდა იმისგან, რაც ჩვენებს იქ, ავღანეთში დახვდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი დიდი დანაკარგი არ გვექნებოდა.

- თქვენ, როგორც საბრძოლო მეთაური, მონაწილეობით აფხაზეთის ომში. დღეს ამ ომზე ძალიან ბევრს და კატეგორიულად ლაპარაკობენ ისინი, ვინც იმ დროს, შეიძლება, დაბადებულიც არ იყო. მოვიგებდით იმ ომს, ბატონო დავით? იყო საამისო რაიმე წინაპირობა? რამ შეგვიშალა ხელი?

- გეტყვით, რომ ომის მოგების წინაპირობები, როგორც ჩანს, არ არსებობდა. თუმცა მშვიდობის უზრუნველყოფა, ალბათ, შესაძლებელი იყო; ყოველ შემთხვევაში, იმაზე უკეთესი, როგორც დღეს ვაქვს. დღევანდელი გადასახედოდა, როცა მეტი გამოცდილება შევიძინეთ, ასე ჩანს.

- მიგანიათ, რომ აფხაზეთის ომი იყო ისეთი, რომელშიც არ შეიძლება ყოფილიყო გამარჯვებული?

- აფხაზეთის ომი, ომი სამანაბლოში რჩება სამოქალაქო ომად. ქვეყნის მოქალაქეების ერთი ნაწილი იარაღით დაუპირისპირდა მეორე ნაწილს. სახელმწიფოსთვისაც წამგებიანი იყო და ხალხისთვისაც. სამოქალაქო ომი შინაგანად უფრო სასტიკი და არაადამიანურია. არავითარი მექანიზმი არ არსებობს მისი სამართლებრივი რეგულირებისთვის.

- სასტიკიო, თქვით. თქვენ, როგორც მეთაური, ჩვენს ჯარისკაცებს განაწყობდით სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლისთვის? მტრის მოსობა-განადგურებისთვის, რადგან ომში არც ანგელოზები არიან, არც დემონები?

- არანაირი ასეთი ბრძანება არ გაცემულა. არც არავის სჭირდებოდა ასეთი აგიტაცია. ომში რომ ჩავერთე, გავრა უკვე დაკარგული იყო. იქაურ სტალიონზე სისასტიკე უკვე ჩადენილი ჰქონდათ ჩვენებს. ჩვენს მებრძოლებში ძალიან ძლიერი იყო შურისძიების გრძნობა, ამიტომ მათ არანაირი წაქეზება არ სჭირდებოდა.

- ამ ბოლო კვირების განმავლობაში ერთი თემა წამოიწია განსაკუთრებით: დიქტატორი და არმია. დიქტატორა, უწინარეს ყოვლისა, არმიის საბრძოლო დედას, შემდეგ - ძალოვანი სტრუქტურების სისტემაზე.

- არმია არსებობს იმისთვის, რომ ხალხი დაიცვას. არმიის გამოყენება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არასწორია. დიქტატორს უნდა ეპინოღეს, რომ ჯარი გამოიყენა ხალხის წინააღმდეგ. აუცილებლად უნდა ეპინოღეს! ისე ჩანს, რომ კადაფის თვისი ქვეყნიდან წასასვლელი არსად არ აქვს. ეს ძალიან სახიფათოა. ჩვეულებრივ, ასეთ სიტუაციებში ოქროს გასასვლელს უტოვებენ ნებისმიერ ალყაშემორტყმულ გარნიზონს თუ სხვა საჯარისო დანაყოფს. თუ ასეთი დერეფანი არ არსებობს, ალყაში მოქცეულთა ბრძოლისუნარიანობა იზრდება, რადგან მათი გადარჩენის ერთადერთი შანსი თავგანწირვით ბრძოლაა. შედეგად იზრდება მსხვერპლის რაოდენობა ორივე მხრიდან. ლიბიის შემთხვევაში

ჯობდა, რომ რომელიმე ქვეყანას შეეთავაზებინა მუშაობა კადაფისთვის თავშესაფარი. ყველა სხვა ვარიანტით მოვლენების განვითარების პირობებში კადაფი ბოლომდე იბრძოლებს.

- ესე იგი, არმია არსებობს ხალხის დასაცავად. თუ დიქტატორი დაუპირისპირდება ხალხს, არმია დაუპირისპირდება დიქტატორს, შეიძლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში არმია მხარი დაუჭიროს დიქტატორს, მაგრამ დიქტატორს, უწინარეს ყოვლისა, უნდა ეპინოღეს არმიის.

- ასე გამოყენებული არმიის.  
- 2003 წლის ნოემბერში ვის მხარეს იდგა არმია, ბატონო დავით? იმ დროს, როცა თქვენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი იყავით?

- არმია ასრულებდა თავის ძირითად დანიშნულებას. სიტუაციას დაბავდა გარნიზონებში შეღწევის მცდელობა, რაც გამოიწვევდა იარაღის უკონტროლოდ გადინებას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ იმ დღეებში არც დამდგარა არმიის არადანიშნულებისამებრ გამოყენების საკითხი.

- დავუშვათ და ახლოდმოსავლური არეულობის ტალღამ საქართველოსაც გადაუარა... როგორ ფიქრობთ, რას იზამს არმია ასეთ შემთხვევაში?

- (პაუზა). რა და როგორ იქნება, ამაზე ლაპარაკი მარჩიელობას დაემსგავსება. შემიძლია ვთქვა, რა იქნება უმჯობესი. როგორი არეულობაც გინდა იყოს ქვეყანაში, არმიის ამოცანებს ვერავინ შეცვლის. არმია არ იწვრთნება ამბოხებათა ჩახახშობად. არმია იწვრთნება ტერიტორიისა და ხალხის დასაცავად. მისი არაწორად გამოყენების შემთხვევაში იგი იშლება, ირღვევა.

მაგალითად, შეიძლება დაირღვეს შიდაარმიული დაპირისპირებით, როცა გაიყოფა გარნიზონი მეთაურის გემოვნების შესაბამისად - ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, რაც პირდაპირი გზაა სამოქალაქო ომისკენ, რომლის სცენარი ყველაზე ცუდია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მითუმეტეს, ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო თავისი მყოფე ეკონომიკური ბაზითა და დემოგრაფიული პრობლემებით. არ ვართ იმდენად გაფოფინებული, რომ ერთმანეთს თავი დავახოცინოთ. სამოქალაქო ომი რომ არ მოხდეს, ამის ერთადერთი გარანტორი არის არმია, რომელიც ინარჩუნებს თავის მთლიანობას, არ ტოვებს გარნიზონების ტერიტორიას და აგრძელებს ფუნქციონირებას.

- თქვით ბრძოლის რეგულაციის შემდგომი სამოქალაქო ომი საბჭოთა რუსეთში არის ჩვენთვის გაკეთილი?

- ისტორიამ ბევრი გაკეთილი დაგვიტოვა. შემთხვევით არ არის ნათქვამი, რომ ისტორია მასწავლებელია. მაგრამ მე ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ისტორიიდან ესწავლოს რამე. ყველა მაინც და მაინც თავისი გამოცდილების მიხედვით ცდილობს სიარულს, პოლიტიკოსები - განსაკუთრებით (კვირება).

- სლენგი რომ ვისმარო, ქაჩავს ჩვენი ავტორიტარიზმი დიქტატორამდე?

- პოლიტიკურ კომენტარებს არ ვაკეთებ (იცინის).

- ბოლო შეკითხვა - ფილოსოფიურ ჭრილში, რომელიც იმდენჯერ მეორდება, რომ ბანალურად ობიექტურად ხდება: რა გვეშველება? - მაგ შეკითხვაზე პასუხის გაცემა რომ შემიძლია, საკუთარ თავს ვუშევლიდი, უპირველესად...

ესაუბრა  
არმაზ სანგულიძე

### სველი ბაძმს ლანჩა! ბიზლირთქა

(გთავაზობთ ნაწყვეტებს ბურამ ახლობლის პასუხიდან მურმან ლებანიძის ორ ლექსზე, რომლებშიც პოეტი უდიერად მოიხსენიებს სამეგრელოს და ამ კუთხის შეიღს დიდ ქართველ ისტორიულ გმირს ცოტნე დადიანს

#### მურმან ლებანიძე

„- ხომ არ წამოხვალ შენ ჩემთან ომში? იქ, ჩვენს ტაბლასთან ანაზად გკითხეს, ფუჰ! - აგვერთე კამბეჩი ლომში... და... ჩვენს სამლოში ჩაგრიცხეს იმ დღეს.

კაცად გიცნეთ და გაგნათლეთ ტომში, შენ - კულს იქნევი აქაც და იქაც, სველი გაქვს ლანჩა სივლახის ტომში, - აწ შენი გზები სხვაგვარად მიდის; იუდას ვერცხლი მოგართვეს ხონჩით, შუა ჩაგვიდის მდინარე მოვრჩით, ჩატეხილია - ბურჯები ხიდის“.

„- ვარ ქართველი და მწამს რაინდობა, მაგრამ ვყოყმანობ თანაც!

არ დაინდობა, არ დაინდობა, ეშმა არამც და არამც! მოძალეობა ქართველს თათრობა, და ძირს დიდინით უთხრის. არის წუთები, როცა დათმობა ჩვენგან სიბრყველს უდრის!“

„- ვარ ქართველი და მწამს რაინდობა, მაგრამ ვყოყმანობ თანაც!

არ დაინდობა, არ დაინდობა, ეშმა არამც და არამც! მოძალეობა ქართველს თათრობა, და ძირს დიდინით უთხრის. არის წუთები, როცა დათმობა ჩვენგან სიბრყველს უდრის!“

„ვით დედა მტკვართან ჭოროხს და ენგურს, რიონს და ტეხურს, იორს და არაგვს, აგრეთვე ენას - ქართულთან მეგრულს, - ხმა ამოიღოს უფლება არ აქვს.

თქვენ დუშმანს სიტყვა უტყვით საქმედ, თქვენ სხვა ადამართ თქვენს მარტვე გლეხში, ვაი, სირცხვილო, რუსთველი თარგმნეთ, - მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული ლექსი.

#### ბურამ ახლობლის პასუხი მარანი-თხმელნარი, ახატანი, თბილისი.

აღარ ვაგრძელებ ამაზე სიტყვას, - ვართ ხომ ორი ძმა ხომ ერთი დედის, საჭირო გახდა და ერთხელ ითქვა, საჭიროება ნურც გვექმნას მეტი. ვით დედა მტკვართან ჭოროხს და ენგურს, რიონს და ტეხურს იორს და არაგვს, აგრეთვე ენას - ქართულთან მეგრულს - ხმა აღიმადლოს, უფლება არ აქვს“.

პრეისტორიაც გვაძლევს ჩვენ სათქმელს ტომებს, ვგარ-ჯიშით, ვით აუღერებდნენ ქართველურ მოდგმის, შუმერულ მართვეთ, კოლხ-იბერებად მოგვისხსენებენ უშუალოდ ხეთების სისხლი, იბერთა მკერდში დადუღებულა.

კოლხ-იბერია, - დასტურად ვიცით, - „იბერთა ხატი“ მირონცხებულა.

კოლხ-იბერია ხეთოს თვალია; ფესტოსის განძი, - ნობათი დემეტის. საუნჯის მოვლა ყველას ვაღია, დემეტოკაცია თუ უბრალო მწყემსი. დრო, წარმოაჩენს ხეთოს საჩინოდ, ხეთოსგან ლაღავს უბირს მართალი. დროა, დროულად გადავარჩინოთ კოლხ-სვან-იბერთა სულის ფართქალი.

ლილეოს ხმაზე, სურვილებს ჩვენსას, სიტკობ-სიმწარეც თან ახლავს მკაცრი, მაგანთა გულდრძო ვირ-ეშმაკ ბეჩავთ მუმილივით იქმნეს ქართველი კაცი. მკაცრად გვაცლიან იბერთ სამანებს, დათვის სურვილი არცთუ ნაზია; ცრუ მეგობრები გვიტხრის სამარეს, ხიზან-სტუმრებიც ბლომად გვასხია... დულს ვერაზია... სოფლებს მსოფლიო გლეჯს, - ინაწილებს ყანებს ქვეყანა.

მსუფე გობიანთ, თავს დაფოფინებს, ცრუ მეგობარი, ლოხი, მცონარა. მცონარებისთვის ძმობა გობია გობს ეტანება მაცილი, ლოხი. დღეის მსოფლიო მათობიას, დასტურ სჭირდება „მგზნებარე კოლხი“...

კოლხ-იბერია... არეოპაგი, - ლანჩის აღზრდილი პეტრე იბერი... გაშიფრულია ფესტოსის დისკო ნეკრესი, - უფრო ბოლნისზე ძველი... ილორი ცრემლობს, ვინძლო ბედი, ჯახოხიებმა განუყვეს ბაგრატს; ღრძო მეზობლებიც (ჩვენში ბედი)

გაგ-გუგულეზად ირგვლივ რომ გვაკრავს. შენ ორი ლექსით გვიმრუდებ შარას, თანაც გვაბოლებ ქარაგმის თქმით; ცოტნეზე, ვინძლო, ვთქვათ „შეგეშალა“, რა გაწიწმატებს მეგრულზე გესლით?!







# ხალხი და გუნდი ერთად - საქართველომ სოციალური სიამაყე დაიბრუნა

ეს იყო დიდებული ხანაობა - ხალხი და გუნდი ერთად იდგა - ეს ის ძალაა, რომლის დამარცხებაც შეუძლებელია. სწორედ ამან შექმნა დადებითი მუხტი, ენერჯია, რომელსაც დიდი საქმის გაკეთება შეეძლო.

სიმბოლური იყო, რომ თამაშის დასრულების შემდეგ ხალხს სტადიონის დატოვება არ სურდა, ისინი ზეიმობდნენ და გრძობდნენ, რომ ნაწილი იყვნენ ამ ყველაფრისა, ისინი გრძობდნენ, რომ მათ თავისი წვლილი შეიტანეს ამ დიდ გამარჯვებაში, თავისი შრომა ჩადეს, ოფლი დღევანდელი და მოიპოვეს დიდი ბოძოლის შედეგად. გუნდი და ხალხი ერთად! ეს ფორმულა წარმატების ფორმულაა - არ არსებობს წარმატება ამ ორი კომპონენტის ერთობლიობის გარეშე.

თემურ ქეცბაიას სტრატეგია არ შეუცვლია, მან გუნდი ათამაშა ფრთხილად, შემდეგი ტაქტიკური განლაგებით - დაცვის ცენტრს ამისულაშვილი-ხუბუტაძის ტან-მადლი წველი ამარჯვებდა, მარჯვენა ფლანგს სალუქვაძე იცავდა, მარცხენას კი კახი კალაძე. ნახევარდაცვის ცენტრში ორი საყრდენი: დაუშვილი-ხიზანიშვილი იდგნენ, მარცხენა ფლანგზე კობიაშვილი მოძრაობდა, ხოლო მარჯვნიდან იაშვილი. ტრანკვილური ანანიძის პოზიციაზე თავდასხმების უკან კანკავა მოქმედებდა, თავდასხმის მახვილი კი დვალისშვილი გახლდათ.

ჩვენმა ფეხბურთელებმა ბოლომდე დაიცვეს ქეცბაიას სამაგისტრო სტრატეგია. ხორვატიას ნერვები დაღატოვდა, რადგანაც მატჩი მოსაგები ჰქონდა...

მეორე ნახევარში მეტოქემ შეტევაში დიდი ძალები ჩართო, დაიპყრო მოედნის ჩვენი ნახევრის სივრცე და პერმანენტულად ახორციელებდნენ კონტრშეტევებს. სეცვლაზე შესულმა მარცვალაძემ სისწრაფე და ხალხის შემატა ჩვენების შეტევას. ხიზანიშვილმა ორჯერ დაარტყა

სახიფათოდ. გადამწყვეტი გოლი უკვე ძირითადი დროის ამოწურვის შემდეგ გავიდა - მარცვალაძემ შეტევის მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, მოატყუა დამცველი, შემოტრიალდა და ბურთი კობიაშვილს გადააწოდა, რომელმაც ბურთი გაიტანა - იმ მომენტში ქართველთა ძახილი ზეცას სწვდებოდა. ეს იყო ჩვენი გამარჯვების და ჩვენი სიხარულის დღე! ვეროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპზე გუნდები შემდეგი შემაღვენლობით თამაშობდნენ:

**საქართველო:** რევიშვილი, სალუქვაძე, ხუბუტაძე, კალაძე, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი (გოგუა 73), იაშვილი (მარცვალაძე 62), კობიაშვილი, დვალისშვილი (სირაძე 46).

**ხორვატია:** რუნიე, სტრინინი, ლოვრენი, ჩორლუკა, რაკიტინი (პერიშინი 60), მოდრიჩი, სრნა, კალინიჩი, დუიმოვიჩი, კრანჩარი (იელავიჩი 70), პეტრჩინი (პრანიჩი 84).

**გოლი:** კობიაშვილი (91).

მატჩის შემდეგომ პრესკონფერენციაზე გამოვიდნენ მწვრთნელები, რომელმაც მატჩის თაობაზე საკუთარი მოსახრებები გაახმოვანეს:

**სლავენ ბილიჩი (ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ეთელი, რომ ხორვატიის ნაკრები საქართველოს ნაკრებზე ძლიერი გუნდია, მაგრამ დღეს ძალიან ძნელი იყო ფანატურად განწყობილი 60 ათასი გულშემატკივრის მიერ მხარდაჭერილი გუნდის წინააღმდეგ თამაში. ქართველებმა ყველაფერი ჩადეს ამ თამაშში, ძალიან კარგად იცავდნენ თავს და ელოდნენ თავის შანსს, რომელიც ისეთ დროს გამოიყენეს, როდესაც უკვე ცაიტნოტში ჩაგვყენეს. მოწინააღმდეგეს რაიმე განსაკუთრებული სიურპრიზი არ შემოუთავაზებია, შესაძლოა ჩემთვის სიახლე ერთ-ორი ახალი ფეხბურთელის გამოჩენა იყო, თუმცა სათამაშო სისტემა იგივე იყო, რაც წინა შეხვედრებში. ახლა ჩვენს

ჯგუფში ისეთი სიტუაციაა, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს და გასაკვირი აღარაფერი არ იქნება.“

**თემურ ქეცბაია (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „უფლოცავ ამ გამარჯვებას მთელს საქართველოს. დღეს ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის დამარცხება შეგველით და მინდა ჩემს ფეხბურთელებს მადლობა გადავუხადო, რომლებმაც ყველაფერი გაიღეს წარმატებისათვის. კარგად გვესმოდა, რომ ამდენი ხალხის წინაშე არ გვექონდა უფლება, რომ ისინი სახლში ცუდ ხასიათზე გაგვეშვა და საბედნიეროდ ეს მოვახერხეთ. ჩვენ გვჭირდება მთელი საქართველოს, თითოეული ქართველის 100 პროცენტული მხარდაჭერა, ქართული ფეხბურთი იმსახურებს ამას და ერთად შედეგსაც მივაღწევთ. შეხვედრის წინ 10 ფეხბურთელი უკვე ჩამოწერილი მყავდა და ასარჩევი იყო მხოლოდ მეკარე - კარში მინც ნუერი რევიშვილის დაყენება ვარჩიე და მანაც გაამართლა იმედები. რაც შეეხება ოთარ მარცვალაძეს, ბევრი სკეპტიკურად უყურებდა ამ ფეხბურთელის შესაძლებლობებს, მაგრამ მან დაამტკიცა, რომ შეუძლია იყოს ამ გუნდის ნაწილი და თავისი წვლილიც შეიტანოს გამარჯვებაში. ახლა ორივე დღეში ისრაელში ურთულესი მატჩი გველის და საამისოდ დასვენება და მომზადება გვჭირდება. რაიმე პრობლემის გაკეთება მიჭირს, რადგანაც საქართველოს ნაკრებზე ძალიან ძნელია პროვოზის გაკეთება.“

**სლავენ ბილიჩი (საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი):** „ბედნიერი ვარ იმით, რომ დღეს საქართველოს გახარება შეგველით და გამარჯვების გოლის გატანა მოვახერხეთ. ჩემთვის ამ გუნდში გატარებული თითოეული დღე, თამაში და წუთი დიდი ბედნიერებაა - ასე იყო აქამდეც და ასე იქნება მუდამ, სანამ ნაკრებში ვიქნები. მიჭირს კიდევ რაიმე თქმა, რადგანაც

ემოციები ფარავს ყველაფერს.“  
მატჩის შემდეგომ პრესკონფერენციაზე ქართველებს გამარჯვება ხორვატიების მთავარმა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმაც მიულოცა. მისი თქმით ფეხბურთი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და გამორჩეული სპორტი იმიტომ არის, რომ მისი პროგნოზირება ძნელია და მოულოდნელობებით არის სავსე. ხორვატი მწვრთნელის თქმით, ერთ-ერთი ასეთი მოულოდნელობა ქართველების დღევანდელი თამაში და მათი გამარჯვება იყო.

მე კი, ამ გამარჯვებამ 1981 წლის 13 მაისი გამახსენა, როცა თბილისის „დინამო“ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა „კარლ ცეისზე“ და ვეროპის თასის მფლობელთა თასს დაეუფლა. მაშინ პირველი გოლი მოწინააღმდეგის კარში ეთნიკურმა ოსმა ვლადიმერ გუცაევმა გაიტანა. გამარჯვების გოლის ავტორი კი ეთნიკური აფხაზი ვიტორი დარასელია გახდა. როგორ შეიძლება მისი სიხარულის ცრემლების დაივიწყება?! ჩვენ ძლიერები ვიყავით მაშინ, როცა ერთად ვიყავით. 1981 წელს არავის გახსენებია, რომ გუცაევი ოსი იყო, დარასელია კი აფხაზი.

ისინი შევარდნაძის წყალობით ბედკრულად ქცეული საქართველოს შვილები იყვნენ!

ბიორბი ჯალაღანია

**P.S. მართალია ისრაელის ნაკრებთან დამარცხებამ ოდნავ გააფერმკრთალა ხორვატიის ნაკრებთან გამარჯვებით გამოწვეული სიხარული, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ ფეხბურთში ბატონების ზვიად სიჭინავას და თემურ ქეცბაიას მოსვლით ეს სპორტი ადამაგლობის გზაზე დამდგარი და მომავალში კიდევ ბევრ სიხარულს მოგვანიჭებს ფეხბურთის გულშემატკივრებს!**

## იუმორი

გემი ჩაიძირა. გადარჩა ერთი კაცი. როგორც იქნა დაინახა მიწა, მიცურავს და ყვირის: - მიწააა!!!

იქიდან კი გაისმის: - ხორციიი!!!

ბაბუა შეიღისშვილს ომის ამბებს უყვება.

- ჩემს დროს, შეიღო, რომ დაგოჭვდნენ, ან გაგაუპატიურებდნენ, ან გკლავდნენ...

- შენ რა გიქნეს, ბაბუ?

- მე... მე მომკლეს!

ოსი მაგარი ნაცემია.

- რა მოგივიდა? - გკითხება მეგობარი.

- ვიჩხუბე და სულ სახე გურტყვი ფეხებში!

განცხადება: „დაიკარგა პიტბული. მპოვნელის ხსოვნა და არდადეგა იყოს!“

კაფეში:

- რა ღირს თქვენთან ყავა?

- თუ დაჯდებით ღარი, თუ ფეხზე დადებით - 50 თეთრი!

- ოცდახუთი თეთრი მაქვს და ცალ ფეხზე დადებები!

- რატომ აქვთ სომხებს დიდი ცხვირი?

- იმიტომ, რომ ჰაერი უფასოა!

- წარმოიდგინე, რომ ჯიბეში ხუთი ლარი გაქვს და...

- ნუ მაცივებ, ერთი! ყველაფერს წარმოვიდგენ, მაგის გარდა.

## ზურაბ ნაკრები რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს

მხატვარი და მოქანდაკე ზურაბ წერეთელი რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს. პორტალი „ნიუსდენდის“ ინფორმაციით, აკადემიის საერთო კრების წევრებმა წერეთელი ამ თანამდებობაზე ერთხმად დატოვეს.

აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია: „ზურაბ წერეთლის მუდმივი ზრუნვის საგანი სამამულო სამხატვრო სკოლის შენარჩუნება და განვითარებაა. აკადემია მისწრაფვის, აღადგინოს უძველესი სამხატვრო სკოლები მოსკოვსა და პეტერბურგში, აღადგენს ძველს და ქმნის ახალ ტექნოლოგიებს“.

სამხატვრო აკადემიას ზურაბ წერეთელი 1997 წლიდან ხელმძღვანელობს.

2003 წელს კი რუსეთის ფედერაციის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა წერეთელს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა მიანიჭა.

საკვირველია, პირდაპირ, როგორ აღწევს ასეთ წარმატებებს საქართველოს ფარგლებს გარეთ საქართველოში ხელისუფლების მიერ „ჩარეცხილთა“ კატეგორიას მიკუთვნებული ადამიანები!!!

“მართლაც რუსეთია დამნაშავე ამ ყველაფერში“

## ნათიანთა კვირი მსხვირპლით დასრულდა

მარტის დასასრულს, საღამოს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ახმეტაში. თვითმხილველთა თქმით, ახმეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე მაილაშვილმა და სხვა თანამდებობის პირებმა „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის ოფისში „მაგრად“ იქიფეს. ქიფის დასრულების შემდეგ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი შპს „ახმეტის გამწვანების“ დირექტორი გია ტიბუნაშვილი ავტომანქანით გზაზე ბორდიურს დაეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მანქანაში მყოფი 28 წლის ქალბატონი ადგილზე გარდაიცვალა, ტიბუნაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს თანამესუფრეებმა განუცხადეს, ტიბუნაშვილი შპს „ახმეტის გამწვანების“ უფროსად დანიშნავს აღნიშნავდა. ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა მაისურაძე „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის ოფისში ქიფის ფაქტს უარყოფს. „მე იქ არ ვყოფილვარ და არც ოფისში უქეიფიათ. მაღაზიაში კი აუღიათ დასაღვევი და პროდუქტები, მაგრამ სად დალიეს, არ ვიცი. მე გუშინ თბილისში ვიყავი“, - აღნიშნავს გამგებელი. მოძრაობის ოფისში ქიფს არ ადასტურებს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე მაილაშვილიც. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას შს ახმეტის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ავსტრიაში მსხვირპლით დასრულდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ამჟამად საქართველოში მცხოვრებ აფხაზებს შეხვდა. სპეციალურად კათოლიკოს პატრიარქთან შესახვედრად 100-მდე აფხაზი აჭარიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოვიდა.

საპატრიარქოში შეკრებილ საზოგადოებას კათოლიკოს პატრიარქმა ქადაგებით მიმართა შეხვედრა ყველასთვის ემოციური და ამდღევანდელი აღმონდა. აქვე აფხაზეთსა და პატრიოტულ თემებზე შექმნილი სიმღერები აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლმა და მომღერალმა თემურ წიკლაურმა შეასრულეს.



ISSN 1987-8966 ილორი  
771987896009  
აპირადი პირდაპირი პასუხისმგებლობა  
შავიანისა და მონაწილეების სიუსტავა

რედაქციის მისამართი:  
თბილისი,  
ბაქრაძის ქუჩა №6  
მე-4 სართული  
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია  
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია  
განხილვის რედაქტორი: მისხილ როდრიგოვილი  
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge  
e-mail: elisabetthal@yahoo.de  
რედაქციის განთავსება  
34-32-95 893-51-01-71  
899-34-37-27